



საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეშეთი-კობის გზის პროექტი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

აზიის განვითარების ბანკი

მომზადებულია:

Golder Associates S.r.l.

Banfo43 Centre Via Antonio Banfo 43 10155 ტორინო

იტალია

+39 011 23 44 211

18101413/11760_rev 8

თავდაპირველად მომზადდა: 2019 წლის მარტში

UBM ULUSLARARASI BİRLEŞMİŞ MÜŞAVİRLER MÜŞAVİRLİK HİZMETLERİ A.Ş.

Reşit Galip Cad. No:94 Çankaya / ANKARA

თურქეთი

ტელ: +90312 427 65 65 ფაქსი: +90312 427 65 76

განახლება V5: გამოცემა 2025 წლის დეკემბერში



GOLDER

უნდა გავრცელდეს შემდეგ მხარეებს შორის:

- 1 პირი - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
- 1 პირი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს
- 1 პირი - აზიის განვითარების ბანკს
- 1 პირი - UBM ULUSLARARASI BİRLEŞMİŞ MÜŞAVİRLER MÜŞAVİRLİK HİZMETLERİ A.Ş.

დოკუმენტის განახლების ქრონოლოგია

ვერსია	ავტორი	რეცენზენტი/ ხარისხის კონტროლი	გაცემის თარიღი	კომენტარი
V1	UBM	EBRD, ADB, RD	2019	
V2	UBM	EBRD, ADB, RD	2020	
V3	მარიამ ბეგიაშვილი	EBRD, ADB, RD	2023	
V4	მარიამ ბეგიაშვილი	EBRD, ADB, RD	2024	
V5	მარიამ ბეგიაშვილი	EBRD, ADB, RD	2025	

სარჩევი

1. შესავალი

1.1. მასშტაბი და მიზნები

1.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სტრუქტურა

2. პროექტის აღწერა

2.1. პროექტის დასაბუთება და სავარაუდო ზემოქმედება

3. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა

3.1. ეროვნული რეგულაციები

3.1.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017)

3.2. საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები

3.2.1. ორჰუსის კონვენცია

3.3. საერთაშორისო სტანდარტები

3.3.1. ევროკავშირი

3.3.2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნები

3.3.3. აზიის განვითარების ბანკი

4. პროექტის დაინტერესებული მხარეების როლები და პასუხისმგებლობები

4.1. საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)

4.2. კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორები

5. მონიტორინგი და ანგარიშგება

5.1. მონიტორინგი

5.2. ანგარიშგება

5.2.1. შიდა ანგარიშგება

5.2.2. გარე ანგარიშგება

6. პროექტის დაინტერესებული მხარეები

6.1. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება

6.2. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

7.1. ჩართულობის ზოგადი პრინციპები

მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა
ჩართულობის მეთოდები

7.2. აქტივობების განხორციელება

7.2.1. მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნება

7.2.2. წინასამშენებლო ეტაპი

7.2.3. მშენებლობის ეტაპი

7.2.4. ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპი

8. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული, დღემდე განხორციელებული, აქტივობები.

8.1. წინასამშენებლო ეტაპი (აპრილი, 2018 წელი- სექტემბერი, 2020 წელი)

8.1.1. გზშ-ს მომზადების ეტაპი (აპრილი, 2018 წელი - მაისი, 2019 წელი)

8.1.2. გზშ-ს გამოქვეყნების შემდგომი ეტაპი (ივნისი, 2019 - სექტემბერი, 2020)

8.2. მშენებლობის ეტაპი (ოქტომბერი, 2020 წელი - დღემდე)

8.3. მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისგან მიღებული შედეგები

9. საჩივრების განხილვის მექანიზმი

9.1. მიზანი და მასშტაბი

9.2. საქართველოს კანონმდებლობა

9.3. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი

9.4. საჩივრების განხილვის მექანიზმის თანამშრომლების როლები და პასუხისმგებლობა

9.5. თვალსაჩინოება და კომუნიკაცია

დანართები

დანართი A - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული პირებისა და დაინტერესებული მხარეების სია

დანართი B - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჟურნალი

დანართი C - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისთვის გამოსაყენებელი მეთოდების მიმოხილვა

დანართი D - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ჩართულობის გეგმა

დანართი E - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობების რეესტრის მაგალითი

აკრონიმები და აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EPC	დაპროექტება, შესყიდვები და მშენებლობა
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESF	გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტი (ADB, 1 იანვარი 2026)
ESMP	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ESP	გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა
EU	ევროკავშირი
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FAQ	ხშირად დასმული კითხვები
FGD	დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებთან
GHG	სათბურის აირები
GRCE	საჩივრების განხილვის კომიტეტი
GRCN	საჩივრების განხილვის კომისია
GRM	საჩივრების განხილვის კომიტეტი
HGV	მძიმე წონიანი სატვირთო მანქანები
HH	შინამეურნეობა
HHRP	ისტორიული მემკვიდრეობის საყრდენი გეგმა
KVDP	ხადას ხეობის განვითარების გეგმა
KII	ინტერვიუ ძირითად რესპონდენტთან
LAR	მიწის შესწყიდვა და განსახლება
LARP	მიწის შესწყიდვისა და განსახლების გეგმა

LRP	საცხოვრებელი პირობების აღდგენის გეგმა
MOE	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MOI	ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NACHP	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PAP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანები
PCP	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა
PIP	საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა
PMS	პროექტის მართვა და ზედამხედველობა
PR	EBRD-ის სამოქმედო მოთხოვნა
Q&A	კითხვები და პასუხები
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
RD	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
SDA	ფუჭი ქანების სანაყარო
SEA	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობა
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SEMP	ადგილსპეციფიკური გარემოსდაცვითი გეგმა
SPS	უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
VHH	მოწყვლადი შინამეურნეობა

1. შესავალი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) დაავალა Golder Associates S.r.l.-ს (შემდგომში - “Golder”) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მომზადება ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის (ლოტი 1 - გვირაბის სამხრეთ პორტალი კობში და ლოტი 2 - გვირაბის სამხრეთ პორტალი ქვეშეთში) პროექტისათვის (შემდგომში-„პროექტი“), რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოში, კერძოდ კი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმა მომზადდა საქართველოს კანონმდებლობის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (2014), საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის (PIP) (2014), აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (2009) და საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკის (PCP) (2011) მოთხოვნების შესაბამისად.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო - პროექტის აღმასრულებელ უწყებას, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკთან ერთად არიან კრედიტორები.

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა არის დინამიკური დოკუმენტი და ექვემდებარება რეგულარულ განახლებას სგდ-ს მიერ, მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტის UBM - ის მხარდაჭერით. ის ბოლოს განახლდა 2024 წლის აგვისტოში.

1.1. მასშტაბი და მიზნები

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განსაზღვრავს იმ პრინციპებს, ამოცანებსა და პროცედურებს, რომლებიც დაცული უნდა იქნას საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ პროექტის განმავლობაში პროექტში დაინტერესებული მხარეების ღია და გამჭვირვალე ჩართვის უზრუნველყოფის მიზნით. დაინტერესებული მხარეების ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძლიერი, კონსტრუქციული და მოქნილი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც აუცილებელია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების წარმატებული მართვისთვის.

შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის უმთავრესი მიზანია პროექტის განხორციელების პერიოდში საფუძველი ჩაუყაროს დაინტერესებულ მხარეებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების განხორციელების მეშვეობით. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში აღწერილია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ასევე ის, თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ძირითადი ამოცანებია:

- პროექტის ფარგლებში გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ხელშეწყობა პროექტის დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების, ეფექტური და მუდმივი ჩართულობის გზით;

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიზნით ისეთი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც პროექტის ინიციატორ უწყებას დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ კი პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან, კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში;
- პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისათვის ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და ღია ჩართულობის საშუალების უზრუნველყოფა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც მათზე პოტენციური უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია პროექტის დიზაინის შესახებ, ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პროექტის ზემოქმედების შესახებ;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე ხდებოდეს რეაგირება და მათი სათანადო მართვა.
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს სისტემური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საკონსულტაციო შეხვედრებში, მაგ. ვირტუალური დასწრების გზით.

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის უფრო კონკრეტული ამოცანებია:

- დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება, აღრიცხვა და შეფასება, ასევე იმის შეფასება, თუ რა სახით შეიძლება განიცადონ მათ ზემოქმედება ან დაინტერესებულნი იქნენ პროექტით;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მოხდეს მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების იდენტიფიცირება და მიღებულ იქნას გონივრული ზომები მიმდინარე საკონსულტაციო პროცესში მათ ჩასართავად.

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ვრცელდება პროექტის ფარგლებში შესრულებულ ყველა საქმიანობაზე.

ყველა დაინტერესებულ მხარეს ვთავაზობთ, განიხილონ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმა და თავიანთი შენიშვნები მიაწოდონ საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდეგ მისამართზე:

მისამართი: საქართველო 0160, თბილისი, ყაზბეგის გამზ #12

ტელეფონის ნომერი: (995 32) 37-05-08

ელ. ფოსტის მისამართი: Info@georoad.ge

ვებგვერდი: <http://www.georoad.ge/>

Facebook: საავტომობილო გზების დეპარტამენტი

პროექტის ვებგვერდი: <https://kveshetikobiroad.ge/en/public-information/>

1.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სტრუქტურა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა შედეგება:

- თავი 1 - შესავალი
- თავი 2 - პროექტის აღწერა
- თავი 3 - საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა
- თავი 4 - პროექტის დაინტერესებული მხარეების როლები და პასუხისმგებლობები
- თავი 5 - მონიტორინგი და ანგარიშგება
- თავი 6 - პროექტის დაინტერესებულ მხარეები
- თავი 7 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა
- თავი 8 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დღემდე განხორციელებული აქტვობები
- თავი 9 - საჩივრების განხილვის მექანიზმი

2. პროექტის აღწერა

საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროგრამა (საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა) ქვეყნის მთავარი გზების გაუმჯობესების მიზნით. პროგრამას მართავს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პროგრამის მიზანია ტვირთების ტრანსპორტირებისა და სატრანზიტო გადაზიდვების გაუმჯობესება საქართველოში და მიმდებარე ქვეყნებში.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია E117-ის ავტომაგისტრალის ჟინვალი-ლარსის მონაკვეთის გაუმჯობესება. ჟინვალი-ლარსის დერეფანი კვეთს კავკასიონის მთებს და მიზნად ისახავს ტრანსპორტირების გაუმჯობესებას რუსეთის მიმართულებით. იგი შედგება სამი მონაკვეთისგან: ჟინვალი - ქვეშეთის, **ქვეშეთი-კობის** და კობი-ლარსის მონაკვეთისაგან. **ქვეშეთი-კობის** მონაკვეთი (შემდგომში - „პროექტი“) არის აღნიშნული სამი შესამუშავებელი მონაკვეთიდან პირველი მონაკვეთი და წარმოადგენს წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის საგანს. **ქვეშეთი-კობის** მონაკვეთი ყველაზე რთული მონაკვეთია, რადგან ის მოიცავს 9 კმ-იან მთავარ გვირაბს, რომელიც კვეთს კავკასიონის ქედს და გზას უვლის არსებულ გზას, რომელიც გუდაურისა და ჯვრის უღელტეხილის გავლით ქვეშეთს კობთან აკავშირებს.

ქვეშეთი-კობის გზაზე განხორციელებული ინვესტიციის მოსალოდნელი ძირითადი შედეგები ითვალისწინებს ზამთრის პერიოდში უწყვეტი მიმოსვლის უზრუნველყოფას, როდესაც გადაადგილება როგორც წესი შეფერხებულია ხოლმე, აგრეთვე უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას სიკვდილიანობის, დაზიანებებისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის შემცირების ხარჯზე და მგზავრებისა და სატვირთო ტრანსპორტისთვის მგზავრობის დროის შემცირებას.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, შემოთავაზებული პროექტი მთლიანად განთავსებულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. კერძოდ,

საპროექტო არეალი გადაჭიმულია დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ტერიტორიიდან და ხადას ხეობიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის ტერიტორიამდე.

მშენებლობისა და სატენდერო პროცედურების ჩატარების მიზნით, მარშრუტი დაყოფილია ორ მონაკვეთად:

- ლოტი 1 – წკერე–კობი (10კმ), რომელიც მოიცავს მთავარ გვირაბს და
- ლოტი 2 – ქვეშეთი-წკერე (12კმ).

ლოტი 1 და ლოტი 2 მონაკვეთების ძირითადი საპროექტო მახასიათებლები შეჯამებულია ქვემოთ და ტრასის განლაგების მიმოხილვა წარმოდგენილია ნახაზი N 1-ში:


ლოტი 1 მოიცავს:

- წკერედან გვირაბის სამხრეთ პორტალამდე 178 მ სიგრძის მონაკვეთი.
- 8,86 კმ სიგრძის ორმხრივი, 2 ზოლიანი გვირაბი (მაქს. ქანობი 2,35%)
- 9.06კმ სიგრძის საავარიო-საევაკუაციო გალერეა გვირაბის პარალელურად და 17 მიერთება ძირითად გვირაბთან.
- ჩრდილოეთისა და სამხრეთ პორტალების მიმდებარედ განლაგებული ტექნიკური შენობა-ნაგებობები, რომლებიც მოიცავს საამქრო ნაგებობებს, სატუმბ სადგურსა და ვენტილაციის ოთახს;
- საპროექტო სიჩქარე 80 კმ/სთ.

ლოტი 2 იწყება ქვეშეთთან და გრძელდება წკერემდე, 3კმ12 +700-მდე. მარშრუტი მოიცავს 2,5 კმ გვირაბებს და 1,5 კმ ხიდებს. აღნიშნული მონაკვეთის ძირითადი ელემენტებია:

- ქვეშეთის შემოვლითი გზა
- 6 ხიდი
- 4 გვირაბი, ორი აშენებული ბურღვა/აფეთქების ტექნიკით და ორი ღია წესით.
- 5 ერთდონიანი მიერთება და 3 დროებითი დამხმარე გზა სამშენებლო სამუშაოებისთვის
- საპროექტო სიჩქარე 80 კმ/სთ.

გვირაბების მშენებლობის შედეგად დაგროვდება მიწის სამუშაოების ჭარბი მასალა და შესაბამისად, ამ მასალებისთვის საჭირო იქნება სანაყარო.



სურათი 1: ლოტი 1 და ლოტი 2 მარშრუტის მონახაზი.

2.1. პროექტის დასაბუთება და სავარაუდო ზემოქმედება

დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემულია პროექტის დასაბუთება და სავარაუდო გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოქმედების შეფასების (გშზ) ანგარიშში.

არსებული გზის მდგომარეობა

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც ძირითად სატრანსპორტო ქვეყანას. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში გაიზარდა საქონლის ტრანსპორტირება საქართველოში და ქვეყნის გავლით. საქონლის თითქმის ორი მესამედის ტრანსპორტირება საქართველოში სატვირთო მანქანებით ხდება ადგილობრივი და უცხოური სატვირთო გადაზიდვის კომპანიების მიერ. თუმცა ბევრი გზა ცუდად არის აღჭურვილი, რომ პროპორციულად გაუმკლავდეს სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიურ მოძრაობას და მძიმე ტექნიკას. სხვა ფაქტორები, როგორცაა არასაკმარისი ორმომართულებიანი გზები, დასახლებულ ტერიტორიებზე გამავალი მარშრუტები, არასათანადო მოვლა-შენახვა და შეკეთება, აფერხებს გამტარუნარიანობას და ზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების ხანგრძლივობას. ეს სირთულეებს უქმნის გადაზიდვის კომპანიებს და მათ კლიენტებს, სატვირთო მანქანების მძღოლებს, ქართველ მძღოლებს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს. გზების ამჟამინდელ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- არსებული გზების მდგომარეობის გაუარესება, რომლებიც ზამთრის თვეებში ხშირად იკეტება დიდთოვლობის გამო, რაც ხელს უშლის საპროექტო არეალის და ზოგადად რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას;
- საცობების მნიშვნელოვანი ზრდა არსებულ გზებზე, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის პერიოდში, რაც გუდაურსა და მის გარშემო არსებული ჰაერის ხარისხის გაუარესებას იწვევს;
- მძიმე სატვირთო მანქანების მანევრირების სირთულეები, რაც იწვევს არსებით დაგვიანებებს და მოქმედებს მოთხვნაზე.

ახალი გზით მოტანილი სარგებლები

- ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალის ოპერირება უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის ზამთრის პერიოდში;
- უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება სიკვდილიანობის, დაზიანებებისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის შემცირების ხარჯზე, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, როდესაც გუდაურისკენ მიმავალი ტურისტების ნაკადი გაემიჯნება კობის მიმართულებით მიმავალ სატრანსპორტო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს; და
- სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტისთვის მგზავრობის დროის შემცირება. ამავდროულად, არსებული გზა შენარჩუნდება ექსპლოატაციის რეჟიმში და მისი გამოყენება მოხდება ექსკლუზიურად გუდაურში მისასვლელ გზად.

პროექტის სხვადასხვაგვარი ზემოქმედება

გშზ-ით დადგინდა, რომ პროექტის განხორციელებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედება მეტწილად მთლიანად ექვემდებარება პრევენციას ან შესაძლებელია ადეკვატურად შერბილდეს. გშზ-ით გამოვლენილი ძირითადი ზემოქმედება ქვემოთ არის განსაზღვრული და მოკლედ აღწერილი:

- მნიშვნელოვანი ჰაბიტატები: მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ეტაპზე ადგილი ექნება

გარკვეული ჰაბიტატების დაკარგვას, შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები შეამცირებს აღნიშნულ ზემოქმედებას დასაშვებ დონემდე. მუშაობის პერიოდში მნიშვნელოვან ჰაბიტატებზე ზემოქმედებას სავარაუდოდ გამოიწვევს პოტენციური დაბინძურება და ჰაბიტატებზე არაპირდაპირი ზემოქმედების ზრდა.

- მნიშვნელოვანი სახეობები: პირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ჰაბიტატის დაკარგვასთან, გარემოს არსებული მდგომარეობის შეცვლასთან და შემთხვევით სიკვდილიანობასთან. არაპირდაპირი ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იქნეს აგრეთვე ფრაგმენტაციით და მისი არსებული მდგომარეობის შეცვლით, რაც ხეობაში ადამიანების გაზრდილი რაოდენობით შემოყვანის შედეგად იქნება გამოწვეული. შემარბილებელი ზომების მიღება, პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან ერთად ნიშნავს, რომ მსგავსი ზემოქმედება სავარაუდოდ მისაღებ დონემდე იქნება შემცირებული. გზის ექსპლოატაცია გამოიწვევს როგორც პირდაპირ ზემოქმედებას მნიშვნელოვან სახეობებზე საგზაო ავარიების/შემთხვევების შედეგად, აგრეთვე არაპირდაპირ ზემოქმედებას, გამოწვეულს გარემოს არსებული მდგომარეობის შეცვლით, ჰაბიტატების ფრაგმენტაციით, დაბინძურებით და ჰაბიტატებისადმი წვდომის ზრდით, თუმცა საპროექტო გვირაბების და ხიდების რაოდენობის გათვალისწინებით ეს არც თუ მაღალ მაჩვენებლად ითვლება.
- ნარჩენები: ზოგადად, თუ განხორციელდება შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები, ნარჩენი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. თუმცა ფუჭი ქანების სანაყაროების აღდგენის მოთხოვნები, მნიშვნელოვანი იქნება და მათ შესრულებას რამდენიმე წელიწადი დასჭირდება.
- სათბურის აირები: ნარჩენი ზემოქმედება, რაც სათბურის აირების წარმოქმნას ახლავს, პროექტის არსებობის მთელ პერიოდში იქნება. ეს პროექტის გარდაუვალი შედეგია, თუმცა ელექტრომობილების ბაზრის ზრდასთან და საწვავის გამოყენების თვალსაზრისით უფრო ეკონომიური მანქანების გამოყენებასთან ერთად, შეიძლება მომავალში საპროექტო გზაზე წარმოქმნილი ემისიების დონე შემცირდეს.
- ლანდშაფტი: მოჭრილი ფერდები, ყრილები, ბეტონის ხიდები და გვირაბები ზემოქმედებას მოახდენენ ველის ლანდშაფტზე პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. თაღვანი ხიდის შერჩევა ხადას ხეობისთვის და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება გარკვეულწილად ამაღლებს პროექტის ესთეტიკურ ღირებულებას, მითუმეტეს, რომ სამშენებლო ზონებში აღდგება და გაიზრდება მცენარეული საფარი.
- თემის ჯანდაცვა და უსაფრთხოება: მშენებლობის ეტაპზე შესაძლოა დროებით გაიზარდოს ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა, რის შედეგადაც შეიძლება მოხდეს სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება ერთმანეთთან, ფეხით მოსიარულეებთან, და პირუტყვთან.
- ასევე იქნება მოკლევადიანი ზემოქმედება ხმაურისა და ჰაერის ხარისხის გაუარესების სახით. მიგრანტმა მუშებმა შეიძლება გაზარდონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები. ამ პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საჭირო გახდეს მშენებლობის დროს განხორციელება მოსახლეობის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა და ასევე შემუშავდეს საგზაო უსაფრთხოებისა და მოძრაობის მართვასთან დაკავშირებული გეგმა.

- **მატერიალური და კულტურული რესურსები:** საპროექტო დერეფნის ფარგლებში გამოვლენილია ზოგიერთი სასაფლაო, ეკლესია, კოშკი, ომის მემორიალი და რელიგიური ჯვრები, რომლებიც განლაგებულია გზიდან 50 მეტრის დაშორებით და შესაძლოა სამშენებლო სამუშაოებმა მათზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს. საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია გათხრების შედეგად გამოვლინდეს შემთხვევითი აღმოჩენები, ამიტომ კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი დაეწერება მიწის სამუშაოებს მაღალი რისკის ზონებში, ხოლო მშენებლობის დროს დაცული იქნება შემთხვევითი აღმოჩენებისათვის დადგენილი პროცედურები.
- **მიწის შესყიდვა/ათვისება და განსახლება:** პროექტის განვითარებისთვის აუცილებელი გახდება უშუალოდ გზისა და ხელოვნური ნაგებობების მიერ დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში ან მის სიახლოვეს არსებული მიწის ნაკვეთების და მათზე არსებული საცხოვრებელი სახლების შესყიდვა. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად შემუშავდება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა, ხოლო მათთვის, ვისაც უარყოფითი ზემოქმედება შეეხება, განხორციელდება საარსებო წყაროს აღდგენის პროგრამა.
- **ხმაური და ვიბრაცია:** პროექტისთვის მომზადებული ხმაურის მოდელიდან იკვეთება, რომ საპროექტო დერეფანში არსებული სოფლების დიდი ნაწილი სამშენებლო ხმაურის მაღალი დონეების ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება. გარდა ამისა, ხმაურის მოდელირება შემუშავდა საპროექტო გზაზე სამომავლოდ პროექტის დასრულების შემდეგ და ოცი წლის განმავლობაში ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით. მოდელირების შედეგებით გამოვლინდა შემარბილებელი ღონისძიებების აუცილებლობა ხმაურის შემაკავებელი ბარიერების ან გრუნტის ბერმების ფორმით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხმაურის დონე არ აღემატებოდეს IFC სახელმძღვანელო მითითებებით დადგენილ ზღვარს, განსაკუთრებით ღამის საათებში. გზა-თვის მომზადებულ ვიბრაციის შეფასებაში აღინიშნა, რომ მხოლოდ რამდენიმე ობიექტზე შეიძლება გავლენა იქონიოს საგზაო სამშენებლო სამუშაოებმა და აღჭურვილობამ, აგრეთვე ხიდების ხიმიჯების სამუშაოებმა. არცერთი დაგეგმილი გვირაბის თავზე ან მის მახლობლად არ არის კერძო საკუთრება. ექსპლუატაციის დროს საგზაო მოძრაობამ ნაკლებსავარაუდოა, რომ ზემოქმედება მოახდინოს შენობა-ნაგებობაზე ან ზოგადად მოსახლეობის კომფორტზე.
- **განათება:** ქუჩის განათებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივ თემებსა და საცხოვრებელ ადგილებზე, თუ ადგილი იქნება სინათლის „გაფანტვას“ ან არ იქნება სწორად დაყენებული შუქის ამრეკლები. ამ თვალსაზრისით, სინათლის „გაფანტვა“ პოტენციურად იმოქმედებს მხოლოდ ქვეშეთისა და არახვეთის დასახლებებზე, ყველა სხვა სოფელი და კერძო საკუთრება საკმაოდ შორს მდებარეობს გზიდან, რომ მათზე რაიმე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოხდეს. მარტივი გამოსავალია, უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო დამცავი ფარები. ეფექტურ დამცავ ფარს შეუძლია მაქსიმალურად გაზარდოს განათების სასურველი ეფექტი ნათების კონტროლისა და სინათლის სიკაშკაშისა და გაფანტვის მინიმუმამდე შემცირების ხარჯზე.
- **წვდომა:** პროექტში ხიდებისა და გვირაბების ჩართვა იმას ნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ რამდენიმე უბანი, სადაც წვდომის დაბლოკვა ხდება ახალი გზის გამო. ზოგიერთ ასეთ ადგილას, ადგილობრივ თემებთან კონსულტაციის საფუძველზე, მოეწყო მიწისქვეშა გასასვლელები ან ადგილობრივი გზები გადატანილი იქნა ხიდების ქვეშ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანების და პირუტყვის თავისუფალი გადაადგილება ხეობის ტერიტორიაზე.

3. საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა

3.1. ეროვნული რეგულაციები

3.1.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017)

საჯარო კონსულტაციის შესახებ მოთხოვნები ჩამოყალიბებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (2017), რომელიც ადგენს, რომ საჯარო კონსულტაციები უნდა ჩატარდეს სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ეტაპზე, როგორც ეს დნიშნული ქვემოთ პარაგრაფებში.

სკოპინგის ეტაპი

საზოგადოებას უფლება აქვს, სკოპინგის განგარიშის გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც სამინისტრომ, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მიიღოს.

მე-10-დან მე-15 დღემდე სამინისტრომ უნდა გამართოს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა დაგეგმილი საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში ყველაზე ახლოს მდებარე ტერიტორიაზე. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს შეტყობინება შეხვედრის დეტალებისა და ადგილის შესახებ მინიმუმ 10 დღით ადრე. სამინისტრო აწარმოებს სხდომის ოქმს.

სკოპინგის განაცხადის წარდგენიდან არაუადრეს 25-ე და არაუგვიანეს 30-ე დღეს, სამინისტრომ უნდა გამოსცეს სკოპინგის დასკვნა იმ კვლევებისა და ინფორმაციის ჩამონათვალთან დაკავშირებით, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული გზშ-ს ანგარიშში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გასაჯაროების ეტაპი

სამინისტროს მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 40 დღის ვადაში, საზოგადოებას უფლება აქვს, წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სამინისტრომ მხედველობაში უნდა მიიღოს.

გზშ-ს ანგარიშის წარდგენიდან არაუადრეს 25-ე და არაუგვიანეს 30-ე დღეს, სამინისტრომ უნდა ჩატაროს გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა დაგეგმილი საქმიანობის თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ საზღვრებში ყველაზე ახლოს მდებარე ტერიტორიაზე. სკოპინგის ეტაპის ანალოგიურად, საჯარო განხილვა ღიაა და საზოგადოებას შეუძლია დასწრება. შეტყობინება აღნიშნული საჯარო განხილვის შესახებ უზრუნველყოფილი უნდა იქნას განხილვის ჩატარებამდე 20 დღით ადრე. შეხვედრის ოქმს სამინისტროს წარმომადგენელი აწარმოებს.

გზშ განაცხადის წარდგენიდან არაუადრეს 51-ე და არაუგვიანეს 55-ე დღეს, სამინისტრო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროექტისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

3.2. საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები

3.2.1. ორჰუსის კონვენცია

2000 წლის აპრილში საქართველომ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიცირება. UNECE-ის (გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის) აღნიშნული კონვენცია ადგენს საზოგადოების (ცალკეული ადამიანებისა და მათი გაერთიანებისთვის) რიგ უფლებებს გარემოსთან დაკავშირებით. კონვენცია ითვალისწინებს:

- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, რომელიც ხელისუფლებისთვის არის ხელთარსებული („გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“);
- გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის უფლებას („გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების მონაწილეობა“);
- პროცედურების გადახედვის უფლებას ზემოხსენებული ორი უფლების ან ზოგადად გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად („მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“).

3.3. საერთაშორისო სტანდარტები

3.3.1. ევროკავშირი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), როგორც გარემოს დაცვის ევროპული პრინციპების ხელმძღვრე მხარე, მოწოდებულია, ხელი შეუწყოს, რომ EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში დაინერგოს ევროკავშირის გარემოსდაცვითი პრინციპები, მეთოდები და არსებითი სტანდარტები, როდესაც ეს პრინციპები, მეთოდები და სტანდარტები შეიძლება გამოყენებული იქნეს პროექტის დონეზე, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. როდესაც მიმღები ქვეყნის რეგულაციები განსხვავდება ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტებისაგან, მაშინ, პროექტის განხორციელებისას უნდა დაკმაყოფილდეს ის სტანდარტი, რომელიც მათ შორის უფრო მკაცრია.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია. 1985 წელს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ პირველი დირექტივის (დირექტივა 85/337/EEC) მიღების შემდეგ განვითარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების როგორც კანონმდებლობა, ისე პრაქტიკა. 2014 წელს გამოქვეყნდა განახლებული დირექტივა (დირექტივა 52/14/EU).

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებით დირექტივა აცხადებს, რომ:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესით დაინტერესებულ საზოგადოებას ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ელექტრონულად და საჯარო შეტყობინებებით, ან სხვა შესაბამისი საშუალებებით, როგორც კი შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიწოდება.
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესით დაინტერესებული საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას სხვადასხვა ეტაპისთვის გამოყოფილი გონივრული ვადები, რათა შეძლონ გადაწყვეტილებების მიღების

პროცესისასთვის მომზადება და მათში ეფექტური მონაწილეობა.

3.3.2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნები

ვინაიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი პროექტის დამფინანსებელია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმა მომზადდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შესრულების მოთხოვნების (PR) შესაბამისად. EBRD-ის მოთხოვნები პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ საკმაოდ მკაცრია და აღემატება ევროკავშირის მოთხოვნებს (რომლებიც დადგენილია ორჰუსისა და ესპოს კონვენციებით). დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნები ასახულია EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის¹ (2014 წლის მაისი) მე-10 შესრულების მოთხოვნაში: „ინფორმაციის გასაჯაროება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა“, ასევე 2014 წელს დამტკიცებულ საჯარო ინფორმაციის პოლიტიკაში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მოითხოვს, რომ კლიენტებმა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა განახორციელონ ადგილობრივი თემებისათვის, რომლებზეც პროექტი უშუალო ზემოქმედებას ახენს, და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის დროული, შესაბამისი, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე, კულტურული თვალსაზრისით მისაღები გზით და მანიპულაციის, ჩარევის, ზეწოლის, იძულებისა და დაშინების გარეშე. მე-10 სამოქმედო მოთხოვნის მიხედვით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დაგეგმვა;
- ინფორმაციის გასაჯაროება;
- კონსულტაცია და მონაწილეობა;
- საჩივრების წარდგენის მექანიზმი; და
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიმართ მუდმივი ანგარიშგება.

იმ პროექტებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევენ უაროვით ზემოქმედებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, EBRD ითხოვს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ისეთი გეგმის შემუშავებას და შესრულებას, რომელიც შესატყვისი იქნება პროექტის ხასიათის და მასშტაბის, ან რისკების, ზემოქმედების და პროექტის განვითარების ეტაპისა.

საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა (PIP) განსაზღვრავს თუ როგორ ახდენს EBRD ინფორმაციის გასაჯაროებას და როგორ ატარებს კონსულტაციებს თავის დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შეუწყოს თავისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებას და მათი გაგების გაუმჯობესებას.

¹ EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა განახლდა 2024 წელს. თუმცა, რადგან პროექტის მომზადება დაიწყო აღნიშნული განახლებული პოლიტიკის მიღებამდე, პროექტზე კვლავ ვრცელდება 2014 წლის EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნები და შესაბამისი შესრულების მოთხოვნები

3.3.3. აზიის განვითარების ბანკი

ანალოგიურად, ვინაიდან აზიის განვითარების ბანკი პროექტის ერთ-ერთი დამფინანსებელია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმა მომზადდა აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის შესაბამისად. აზიის განვითარების ბანკი პრიორიტეტულად მიიჩნევს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, კონსულტაციას და მათ მონაწილეობას. აზიის განვითარების ბანკის ახალი კორპორატიული სტრატეგია - სტრატეგია 2030: „აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების კეთილდღეობის, ინკლუზიურობის, სიცოცხლისუნარიანობისა და მგრადობის მიღწევა“ (2018) ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ გააძლიერებს აზიის განვითარების ბანკი თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ხოლო ADB-ის სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი (2009)² მოითხოვს მრავლისმომცველ კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან.

2030 წლის სტრატეგიაზე დაყრდნობით, აზიის განვითარების ბანკი მოწოდებულია, გამოიკვლიოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რა იმ საქმიანობაზე, რომელიც იყენებს საზოგადოების რიგითი წევრების მონაწილეობის მიდგომას, რათა სამიზნე ჯგუფად აქციოს ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფები, მოახდინოს ქალებისა და ახალგაზრდების მობილიზება და განხორციელოს პროექტის ფარგლებში საქმიანობებისა და საქმიანობათა შედეგების მონიტორინგი.

აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების სტანდარტებთან და ამოცანებთან შესაბამისობის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- ბუნებრივ გარემოზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებზე პროექტების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება შეძლებისდაგვარად;
- ბუნებრივ გარემოსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე პროექტის უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, შემსუბუქება და/ან კომპენსირება, თუ მათი თავიდან არიდება შეუძლებელია; და
- მსესხებლებისთვის/კლიენტებისთვის დახმარების გაწევა უსაფრთხოების სისტემების გაძლიერებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის კუთხით.

ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით, აზიის განვითარების ბანკი მზად არის ითანამშრომლოს მსესხებლებთან/კლიენტებთან, რომ უზრუნველყოს სოციალური და ბუნებრივი გარემოს დაცვის უსაფრთხოებაზე ინფორმაციის (როგორც პოზიტიურის, ასევე ნეგატიურის) დროული ხელმისაწვდომობა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის, მათ შორის, ფართო საზოგადოებისთვის, დროულად, მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას, მათთვის გასაგები ფორმითა და მათთვის გასაგებ ენ(ებ)აზე, რათა მათ შეძლონ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

გარდა ამისა, 2011 წელს აზიის განვითარების ბანკმა გამოსცა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუტების საქმიანობის გამჭვირვალობასა და

² აზიის განვითარების ბანკის (ADB) გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო მიღებულ იქნა 2024 წელს და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, რადგან პროექტის მომზადება დაიწყო აღნიშნული ახალი ჩარჩოს მიღებამდე, პროექტზე კვლავ ვრცელდება ADB-ის სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (SPS, 2009) მოთხოვნები და შესაბამისი სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნები.

ანგარიშვალდებულებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ის ემსახურება. პოლიტიკის საერთო მიზანია აზიის განვითარების ბანკისადმი დაინტერესებულ მხარეთა ნდობისა და ჩართულობის უნარის გაძლიერება. 2019 წლის 1 იანვარს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა შეცვალა ახალმა პოლიტიკამ სახელწოდებით „ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა.“

4. პროექტის დაინტერესებული მხარეების როლები და პასუხისმგებლობები

4.1. საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ)

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის (SEP) განხორციელებაზე სგდ-ს ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

სგდ: სგდ განსაზღვრავს პერსონალს და რესურსებს პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების განსახორციელებლად.

სგდ პასუხისმგებელია:

- უზრუნველყოს SEP-ის განხორციელება, გეგმის ფარგლებში აღწერილი აქტივობების განხორციელების გზით;
- შეასრულოს სგდ-ს მენეჯმენტს, პროექტის მართვისა და ზედამხედველობის (PMS) კონტრაქტორს, EPC კონტრაქტორებს, ქვეკონტრაქტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია;
- გაუწიოს მონიტორინგი SEP-ის განხორციელებას და შესთავაზოს სგდ-ს მენეჯმენტსა და კრედიტორებს გამოსასწორებელი ღონისძიებები და მოახდინოს ანგარიშგება;
- უზრუნველყოს, რომ წინამდებარე SEP იყოს განახლებული დღეის მდგომარეობით და შეესაბამებოდეს პროექტის ხასიათსა და მასშტაბებს;
- საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზოს სგდ-ს მენეჯმენტს აღნიშნულ პროცედურებში ცვლილებებისა და/ან განახლებების შეტანა და განახლებული ვერსიების გამოცემა.

სგდ მონიტორინგს უწევს ჩართულობის ყველა აქტივობას, რომელიც შესრულებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების რეესტრის ფარგლებში და რომელიც მოიცავს მენეჯმენტის ფორმებს, შეხვედრების ოქმებს და ყველა შესაბამის მასალას, რომელიც გამოიყენება ან მომზადებულია აღნიშნული აქტივობისთვის (განცხადებები, პლაკატები, ბროშურები, პრეზენტაციები, დამსწრეების ფურცელი, სურათები. და ა.შ.). დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების რეესტრის განსახორციელებლად გამოსაყენებელი რეესტრისა და ჩანაწერის ფორმების ნიმუში წარმოდგენილია **დანართ E-ში**.

კომუნიკაციის სპეციალისტი: გარე კომუნიკაციის სპეციალისტი დაქირავებული იქნა აზიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით, რომ დახმარება გაუწიოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდეგი აქტივობების განხორციელებაში:

- დაეხმაროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ძირითადი დაინტერესებულ მხარეების გამოვლენაში;
- დაეხმაროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (საგზაო რუკის ჩათვლით) შემუშავებაში;

- დაეხმაროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და აზიის განვითარების ბანკს კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

კომუნიკაციასთან დაკავშირებული აქტივობები ხშირად ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით და, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შედეგებს ხშირ შემთხვევაში შეუძლია ღირებული ინფორმაციის შემოთავაზება კომუნიკაციის სტრატეგიისთვის; ასე რომ, ეს ორი აქტივობა განხორციელდება მჭიდრო კოორდინირებით.

ადგილობრივ თემთან მუშაობის სპეციალისტი: ადგილობრივ თემთან მუშაობის გარე სპეციალისტი დაქირავებული იქნა აზიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით საავტომობილო გზების დეპარტამენტის დასახმარებლად ისეთი აქტივობების განხორციელებაში, როგორცაა:

- დაეხმაროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და კომუნიკაციის სპეციალისტს დაინტერესებულ მხარეების გამოვლენაში;
- დაეხმაროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და კომუნიკაციის სპეციალისტს პროექტის ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში; გარდა ამისა, ადგილობრივ თემთან მუშაობის სპეციალისტი გამოიყენებს ადგილობრივ ცოდნას ქვეყნის შესახებ იმისათვის, რომ უზრუნველყოს ყველა აქტივობის შესაბამისობა კულტურულ მახასიათებლებთან.
- დაეხმაროს, რომ საჯარო შეხვედრებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შეხვედრების შედეგები და დასკვნები თავმყრილი იქნას ანგარიშში, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს აზიის განვითარების ბანკისთვის და შესაბამისი სამთავრობო ოფიციალური პირებისთვის, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის და კონსულტაციებში მონაწილე რომელიმე სხვა პირისთვის. ადგილობრივ თემთან მუშაობის სპეციალისტი ასევე გაუწევს კოორდინირებას აღნიშნული ანგარიშის გავრცელებას, უზრუნველყოფს რა, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის მათთვის მისაღები ფორმით.
- უზრუნველყოფს ზოგადი კომუნიკაციის მხარდაჭერას საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის და პროექტის კომუნიკაციის სპეციალისტისთვის.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონტაქტო მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

მისამართი: საქართველო 0160, თბილისი, ყაზბეგის გამზირი N12

ტელეფონი: (995 32) 37-05-08

ელ.ფოსტა: Info@georoad.ge

კორპორაციული ვებგვერდი: <http://www.georoad.ge/>

4.2. კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელება და განახლება წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას. კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს (პროექტის მართვისა და ზედამხედველობის (PMS) კონტრაქტორის ჩათვლით) არა აქვთ ჩართულობის აქტივობების უშუალოდ განხორციელების უფლება, თუმცა მათ უნდა ითანამშრომლონ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ფარგლებში. ასევე, კონტრაქტორებს არა აქვთ საჩივრების განხილვის უფლება, მაგრამ, თუ მათ ამის თაობაზე მიმართავენ დაინტერესებული მხარეები, უნდა გადაამისამართონ ისინი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, კონტრაქტორებმა და ქვეკონტრაქტორებმა უნდა იქონიონ რეგულარული კავშირი აქტივობების სტატუსის და სხვა წამოჭრილი საკითხების განსახილველად, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ჩართულობის აქტივობებში. კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები პერიოდულად ანგარიშვალდებულნი არიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე აქტივობების მიმდინარეობის შესახებ ისე, რომ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელი გახდეს დაინტერესებული მხარეებისთვის დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის განმავლობაში.

5. მონიტორინგი და ანგარიშგება

წინამდებარე SEP უნდა განახლდეს პროექტის ძირითადი ცვლილებებისა და პროექტის ახალ ფაზაში შესვლისას (მაგ., როდესაც მშენებლობა დასრულდება). წინა ვერსიები დაარქივდება, ხოლო შესწორებული ვერსია ხელმისაწვდომი გახდება დაინტერესებული მხარეებისთვის.

5.1. მონიტორინგი

სავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელი იქნება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფარგლებში შესრულებული ყველა აქტივობის მონაცემთა ბაზის წარმოებაზე. კერძოდ, მონაცემთა ბაზა მოიცავს შემდეგს:

- დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი, რომელიც პერიოდულად განახლდება;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების რეესტრი, სადაც თითოეული შესრულებული აქტივობისთვის მითითებული იქნება, როგორც მინიმუმ თარიღი და აქტივობის განხორციელების ადგილი, მონაწილეები, გასაჯაროებული ინორმაცია და აქტივობის შედეგები;
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის წინა ვერსიები;
- მომზადებული პერიოდული ანგარიშგები.

წინამდებარე SEP-ის სწორად განხორციელება შემოწმდება გარემოს დაცვის და სოციალური აუდიტის/ზედამხედველობის არსებული აქტივობების საშუალებით, რომლებიც ჩატარებული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ან ზედამხედველი ინჟინრის მიერ, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტი სათანადო ანგარიშგებას უზრუნველყოფს აზიის განვითარების/ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკებისთვის. აუდიტისა და საზედამხედველო აქტივობათა საორიენტაციო ჩამონათვალი მოიცავს შემდეგს:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სწორად განხორციელება;
- SEP-ში მითითებულ აქტივობების სიხშირისა და დაგეგმილი განრიგის შესაბამისობა;
- დროული და ეფექტური ანგარიშგება.

გუნდი ასევე შეამოწმებს შემდეგს:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების რეესტრის გადამოწმება ჩანაწერების სწორად ჩაწერის უზრუნველყოფის მიზნით;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების ფორმებისა და დოსიეების შემოწმება ინფორმაციისა და მასალების სწორად შევსებისა და რეგისტრირების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაინტერესებულ მხარეთა რეესტრის შემოწმება სიის მუდმივი განახლების უზრუნველყოფის მიზნით;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებული პერიოდული ანგარიშების შემოწმება მათი სწორად შედგენის უზრუნველყოფის მიზნით;
- აქტივობებში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დონე და დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობის ჩანაწერების ფორმის ნაწილში „მიღებული გამოცდილება“.

საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის სწორად განხორციელება შემოწმდება პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპების განმავლობაში, და როგორც მინიმუმ, დევექტების გამოსწორების ორწლიან საგარანტიო პერიოდში, უკვე არსებული გარემოსდაცვისა და სოციალური მონიტორინგის ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს შემდეგს:

- საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მეთოდოლოგიის სწორად განხორციელება; დროული და ეფექტიანი რეაგირება საჩივრებზე.
- დროული და ეფექტური რეაგირება საჩივრებზე.

შემოწმებისას აუდიტორთა გუნდი ყურადღებას მიაქცევს შემდეგს, კერძოდ,

- მონაცემთა ბაზების შემოწმება საჩივრებთან დაკავშირებული ჩანაწერების სწორად შეტანის უზრუნველყოფის მიზნით;
- საჩივრის რეგისტრაციის ფორმების და დოსიეების 20%-ის (ანუ, სულ ცოტა, ოთხი დოკუმენტის) რანდომული განხილვა ინფორმაციის და მასალების სწორად შეყვანისა და რეგისტრირების უზრუნველყოფის მიზნით;
- იმ საჩივრების ყველა სარეგისტრაციო ფორმისა და დოსიეს განხილვა, რომლებიც განეკუთვნება 3-5 კატეგორიას, ინფორმაციის ადა მონაცემების სწორად შეყვანისა და რეგისტრირების უზრუნველყოფის მიზნით;
- საჩივრის განხილვის მექანიზმის ეფექტურობის კმაყოფილების დონე იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემული იქნება საჩივრის რეგისტრაციის ფორმის ნაწილში „მიღებული გამოცდილება“.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მენეჯმენტი განიხილავს აუდიტის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს გამოსასწორებელ ზომებს, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის

მეთოდოლოგიასა და აგრეთვე როლებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, დაინიშნება გარე მონიტორინგის კონსულტანტი (EMC), რომელიც მონიტორინგს გაუწევს და მოახდენს ანგარიშგებას LARP-ის განხორციელებასთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ გარე მონიტორინგის კონსულტანტის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ მოცემულია მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში (LARP).

5.2. ანგარიშგება

რეგულარულად განხორციელდება როგორც შიდა, ასევე გარე ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების შედეგების შესახებ.

5.2.1. შიდა ანგარიშგება

რაც შეეხება შიდა ანგარიშგებას, სგდ პასუხისმგებელია რეგულარულად და საჭიროებიდან გამომდინარე კავშირზე იყოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან, რათა შეატყობინოს მას გეგმის განხორციელების საერთო მიმდინარეობა და მიიღოს რჩევები საჭიროების შემთხვევაში.

გარდა ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, თემთან მუშაობის სპეციალისტის დახმარებით, მშენებლობის ეტაპის განმავლობაში, სამ თვეში ერთხელ მოამზადებს ოფიციალურ პერიოდულ ანგარიშებს და ექსპლუატაციის ფაზის განმავლობაში კი ყოველწლიურ ანგარიშებს. ანგარიშებში უნდა შედიოდეს შემდეგი ინფორმაცია:

- საერთო მონაცემები დასრულებული აქტივობების რაოდენობისა და ტიპოლოგიის შესახებ;
- დაინტერესებულ მხარეთა დასწრება და მათი უკუკავშირი;
- წამოჭრილი პრობლემები და კრიტიკული საკითხები;
- საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მუშაობის სტატუსი და წამოჭრილი კრიტიკული საკითხები;
- გეგმისა და გრაფიკის ფარგლებში განხორციელებული გამოსასწორებელი ქმედებები;
- ხელმძღვანელობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები.

ანგარიშები წარედგინება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, კონტრაქტორებს და ქვეკონტრაქტორებს, კრედიტორებს და ნებისმიერ სხვა მხარეს საჭიროებიდან გამომდინარე.

5.2.2. გარე ანგარიშგება

რაც შეეხება გარე კომუნიკაციას, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია თემების წინაშე პერიოდული გარე კომუნიკაციის ფარგლებში. შემდეგი ინფორმაცია მიწოდებული იქნება სათანადო ფორმატში:

- პროექტის მიმდინარეობა სტატისტიკის, დასრულებული ფაზების აღწერის და ფაზის განმავლობაში დაგეგმილი ძირითადი ეტაპების ჩათვლით;
- გარემოს დაცვის მონიტორინგთან დაკავშირებული აქტივობების შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების შედეგები განხორციელებული ინიციატივების და წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების მითითებით;

- საჩივრებთან (ანონიმურ ფორმებთან) დაკავშირებული ინფორმაცია და მონაცემები;
- ადგილობრივი დასაქმების და ადგილობრივი შესყიდვების მონაცემები (თუ ხელმისაწვდომია).

ანგარიში მომზადდება ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ მშენებლობის ფაზის განმავლობაში და წელიწადში ერთხელ - ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციის პირველი ხუთი წლის მანძილზე. ანგარიში გაეგზავნება წინა აქტივობებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს მაშინაც კი, თუ ისინი აღარ არიან აქტიური მონაწილეები, და კრედიტორებს. ანგარიშის იგივე ვერსია უნდა აიტვირთოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე.

გარდა ამისა, ნახევარ წელიწადში ერთხელ მომზადებული გარემოს დაცვის მონიტორინგის ანგარიშები და სოციალური/განსახლების მონიტორინგის ანგარიშები აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის და აზიის განვითარების ბანკის ვებგვერდებზე მშენებლობის ფაზის განმავლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის მოთხოვნებში.

6. პროექტის დაინტერესებული მხარეები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის მიზნებისათვის, დაინტერესებული მხარეები განისაზღვრებიან როგორც პირები ან ჯგუფები, (i) რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს ან სავარაუდოდ მოახდენს (პირდაპირი თუ ირიბი სახით) პროექტი („ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები“); ან (ii) რომლებსაც შეიძლება რაიმე ინტერესი ჰქონდეთ პროექტში („სხვა დაინტერესებული მხარეები“).

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობათა ეფექტიანად ორგანიზებისა და ადგილობრივ თემებთან ძლიერი ურთიერთობების დამყარების მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში იდენტიფიცირებული იქნა რიგი თემის წარმომადგენლებისა, რათა მათ მაქსიმალურად გამოხატონ თემის ინტერესები და ხელი შეუწყონ დიალოგს. თემის წარმომადგენლებს შორის შეიძლება იყვნენ თემის ან რელიგიური ლიდერები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მასწავლებლები და სხვ.

შემდეგ თავებში აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირების პროცესი და მოცემულია პროექტის ფარგლებში ჩატარებული დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი რეგულარულად უნდა გადაიხედოს და შესაბამისად დაკორექტირდეს, რათა მასში აისახოს ის ცვლილებები, რომლებსაც პროექტის დაგეგმვის, განვითარებისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განიცდიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირები ან დაინტერესებული მხარეები. ამ მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი, რომელიც მთელი პროექტის განმავლობაში რეგულარულად უნდა განახლდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ.

იმ დაინტერესებული მხარეების ნუსხა (2023 წლის იანვარში ამ SEP-ის განხილვის შემდეგ), რომლებიც დღემდე ჩართული არიან აქტივობებში, წარმოდგენილია „ა“ დანართის სახით.

6.1. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ან პროექტით დაინტერესებული მხარეების ძირითადი კატეგორიები და ჯგუფები

ცხრილი 1: დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება

კატეგორია	ჯგუფი	განმარტება და ზემოქმედება
ზემოქმედების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები		
თემები	ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები და ინდივიდუალური პირები	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემები: დასახლებები, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს როგორც პროექტის სხვადასხვა ზემოქმედება, ისე სარგებელი. ზემოქმედება მოიცავს მიწის დაკარგვას, ქონების (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების) დაკარგვას, ხმაურს, ვიბრაციას და ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას; ქონების დანაწევრების ზემოქმედებას. პროექტით მოტანილი სხვადასხვა სარგებელია სოფლებში მგზავრობის დროის შემცირება, მომსახურებებზე წვდომის გაზრდა და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებული პირობები.</p> <p>პროექტის უშუალო ზემოქმედებას შემდეგი დასახლებები განიცდიან:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ქვეშეთი, ▪ არახვეთი, ▪ ზაქათკარი, ▪ წკერე, ▪ მულერე, ▪ სვიანა-როსტიანი, ▪ გომურნი, ▪ ბეგონი ▪ უხო ▪ სეთურები ▪ ჯადმიანი ▪ კაიშაურნი <p>ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირები: ადამიანები, რომლებზეც ზემოქმედებას მოახდენს მიწის, ქონების ან საარსებო წყაროს დაკარგვა, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილზე</p>

		<p>წვდომის დაკარგვა ქონების დანაწევრების ზემოქმედების შედეგად, და რომლებისთვისაც საჭირო იქნება კომპენსაციის გადახდა და/ან განსახლება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მწყემსები <p>მოწყვლადი ჯგუფები: EBRD-ის განმარტებით, ეს არიან ადამიანები, რომლებზეც, სხვადასხვა ფაქტორის ძალით, „შესაძლოა უფრო ნეგატიურად იმოქმედოს პოექტის სხვადასხვა ზემოქმედებამ, ვიდრე სხვა ადამიანებზე და რომელთაც შესაძლოა შეზღუდული უნარი ჰქონდეთ, მოითხოვონ ან მიიღონ პროექტის სარგებლები.“³</p> <p>საქართველოს სამართლებრივ კონტექსტში, მოწყვლადი ჯგუფები განიმარტებიან როგორც საოჯახო მეურნეობები, რომელთა სათავეში ქალი დგას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ან სხვა პირები, რომლებიც მთავრობისგან იღებენ შეზღუდული შესაძლებლობებისთვის დახმარებას, ოფიციალურად დადგენილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები, პენსიონერები და იძულებით გადაადგილებული პირები.</p>
--	--	--

კატეგორია	ჯგუფი	განმარტება და ზემოქმედება
<p>ბიზნესების, კომუნიკაციებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მფლობელები</p>	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ბიზნესები</p> <p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კომუნიკაციები და სხვა ინფრასტრუქტურა</p>	<p>ბიზნესები, რომლებზეც ვრცელდება როგორც პროექტის ზემოქმედება, ისე სარგებლები. ზემოქმედება მოიცავს მიწის, ქონების ან შემოსავლების დაკარგვას; ამ ბიზნესებს შორის არიან გზისპირა ბაზრებში დახლების მფლობელები და ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესები, რომლებზეც ზემოქმედება მოახდინა მიწების ათვისებამ. პროექტით მოტანილი სარგებელი არის მგზავრობის დროის შემცირება, ეკონომიკურ შესაძლებლობათა გაზრდა და ბაზრებსა და მომხმარებლებზე უფრო ადვილი წვდომა.</p> <p>სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებული კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის მფლობელები, როგორც არიან კავშირგაბმულობისა და ენერგომომარაგების კომპანიები, ნარჩენების მართვის ობიექტები, ადგილობრივი გზები.</p> <p>ადამიანის მიერ შექმნილი ობიექტები, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლად მოწყობილი საინჟინრო კომუნიკაციები, როგორცაა წყალმომარაგების სისტემა, სექტიკური ავზი და ა.შ., მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გაზის ტრანსპორტირების კომპანია

³ წყარო: EBRD. 2014. გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა. ობ. შემდეგ მისამართზე: <https://www.ebrd.com/downloads/research/policies/esp-final.pdf>

მთავრობა	მუნიციპალური და რეგიონული ადმინისტრაციები	შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი და მცხეთა-მთიანეთის რეგიონი.
	სახელმწიფო მთავრობა და სამთავრობო უწყებები	წამყვანი უწყებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ მანდატი, განიხილონ და კონსულტაცია გაუწიონ პროექტის განვითარებას, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ▪ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ▪ ინფრასტრუქტურის სამინისტრო ▪ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ▪ დაცული ტერიტორიების სააგენტო ▪ გარემოს ეროვნული სააგენტო ▪ პოლიცია ▪ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ▪ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
დაინტერესებული მხარეები		
თემები	მიმდებარე თემები	დასახლებები, რომლებსაც აქვთ ინტერესი ან გავლენა პროექტის განვითარებაზე, როგორც არის, მაგალითად, გუდაური.

<p>ბიზნესები, სააგენტოები</p>	<p>მიმდებარე ბიზნესები</p>	<p>ბიზნესები, რომლებიც ფუნქციონირებენ ან გეგმავენ ფუნქციონირებას პროექტის მახლობლად ან რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროექტით, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ გუდაურის სათხილამურო კურორტი ▪ სავაჭრო პალატები ▪ პროფკავშირები ▪ კობის წყლის კომპანია
<p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები</p>	<p>არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები</p>	<p>საპროექტო არეალში მოხვედრილი მოქმედი ორგანიზაციები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) ▪ ICOMOS საქართველო ▪ საქართველოს ეროვნული ფონდი ▪ ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი ▪ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ▪ საქართველოს მწვანეები ▪ მწვანე ალტერნატივა ▪ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ▪ CAREC ▪ არასამთავრობო ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook (GEO) ▪ საქართველოს სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ▪ კავკასიის ბუნების ფონდი ▪ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) ▪ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ▪ ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) ▪ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) ▪ მთის განვითარების ცენტრი (MDC) ▪ SABUKO (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის) ▪ ასოციაცია საზოგადოების კეთილდღეობისთვის (AWS) ▪ რეგიონული განვითარების ცენტრი (RDC) ▪ დუშეთის განვითარების ფონდი ▪ სტეფანწმინდა ▪ ქალები რეგიონული განვითარებისთვის

		<ul style="list-style-type: none">▪ „ხევის მომავალი“ - სტეფანწმინდაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია▪ საქართველოს ველურ ბუნების კონსერვაციის ცენტრი▪ ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი▪ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია▪ საქართველოს შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაცია
--	--	---

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები	სამეცნიერო წრეები და დარგის ექსპერტები	<p>დარგის ექსპერტები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდაჭერა ჩართულობის აქტივობების განმავლობაში, რათა უპასუხონ დაინტერესებულ მხარეთა კითხვებსა და კომენტარებს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი ▪ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ▪ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი ▪ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
საერთაშორისო პარტნიორები	პროექტის დამფინანსებლები	ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის დაფინანსებას, მათ შორის EBRD და ADB.
პრესა და მედია	ადგილობრივი და ეროვნული პრესა და მედია	პრესას და მედიის ჯგუფებს შეუძლიათ ფართო საზოგადოების ინფორმირება პროექტის სხვადასხვა ზემოქმედებისა და სარგებლის შესახებ.

6.2. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა კატეგორიის პოტენციური მოლოდინებისა და პრობლემების ანალიზი. ცხრილს საფუძვლად უდევს დღემდე ჩატარებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების აქტივობათა შედეგები და ვარაუდები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის მოსალოდონელი.

ცხრილი 2: დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

ჯგუფი	დაინტერესებული მხარეები	აღწერა და დაინტერესება პროექტის შემუშავებისა და ექსპლოატაციის მიმართ	ზემოქმედება პროექტიზე	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ამჟამინდელი მდგომარეობა	დაინტერესებულ მულობის კატეგორია
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემები	<ul style="list-style-type: none"> - ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დასახლებები - ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირები 	<ul style="list-style-type: none"> - მოხდება მათზე უშუალო ზემოქმედება პროექტის ფარგლებში მიწის შექმნის შედეგად, ასევე ზემოქმედება ჰაერის ხარისხის, ხმაურის, ვიბრაციისა და ქონების დანაწევრების თვალსაზრისით. - მიიღებენ სხვადასხვა სარეგებელს, მათ შორის სოფლებში მგზავრობის დროის შემცირებას, მომსახურებებზე წვდომის გაზრდას და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებულ პირობებს. - საჭირო იქნება კომპენსაცია საარსებო საშუალებების, მიწის ან ქონების დაკარგვის გამო. - შესაძლებელია, მათთან მიმართებაში წარმოიშვას გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები (მაგ. ურთიერთობა დროებით მუშახელთან). 	<ul style="list-style-type: none"> - შესაძლოა შეფერხდეს პროექტის განვითარება და/ან გამოიწვიოს პროექტის ქონების განადგურება. - შესაძლოა გამოიწვიოს პროექტისთვის დაფინანსების დაკარგვა. - პროექტის წარმატება დამოკიდებულია ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემების მიერ სარგებელის მიღებაზე. - შეუძლიათ წვლილის შეტანა პროექტის განვითარებაში, პოტენციურად სენსიტიური ადგილების, ზემოქმედებისა თუ პრობლემის გადაწყვეტის გზების იდენტიფიცირების გზით 	სრული ჩართულობა	საჭიროებების წინასწარ განსაზღვრა და დაკმაყოფილება

<p>მოწყველადი ჯგუფები</p>	<ul style="list-style-type: none"> - საოჯახო მეურნეობები, რომელთა სათავეში ქალი დგას; - პენსიონერები; - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ან სხვა პირები, რომლებიც მთავრობისგან იღებენ შეზღუდული შესაძლებლობებისთვის დახმარებას; - იძულებით გადაადგილებული პირები. 	<p>- შესაძლოა არაპროპორციული ზემოქმედება განიცადონ პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შედეგად მათი მოწყველადი სტატუსის გამო.</p>	<p>- შესაძლოა გაუჩნდეთ სირთულეები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში მონაწილეობის და უკუკავშირის წარმოდგენის მხრივ.</p>	<p>სრული ჩართულობა</p>	<p>საჭიროებების წინასწარ განსაზღვრა და დაკმაყოფილება; სპეციალური ზომების მიღება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად (იხ. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა)</p>
---------------------------	---	--	---	------------------------	---

<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ბიზნესები</p>	<ul style="list-style-type: none"> - გზისპირა ბაზრებში დახლების მფლობელები - ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესები, მათ შორის ტურიზმის სფეროში ჩართული - სხვა საწარმოები (კომუნალური მომსახურების კომპანიები) 	<ul style="list-style-type: none"> - ბიზნესები, რომლებიც განიცდიან მიწის, ქონების, შემოსავლების, სერვისებისა და საარსებო საშუალებების დაკარგვას; - ბიზნესები, რომლებიც მიიღებენ სარგებელს, მათ შორის მგზავრობის შემცირებულ დროს, გაზრდილ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მომხმარებლებსა და ბაზრებზე უფრო ადვილად წვდომას; - ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკის ხელშეწყობა ადგილობრივი თემის წევრებისთვის დასაქმების პირდაპირი შესაძლებლობებით, მთავრობისთვის შემოსავლის მოტანა გადასახადების სახით და სხვ. 	<ul style="list-style-type: none"> - შესაძლოა შეაფერხონ პროექტის განვითარება. - შესაძლოა არ დაეთანხმონ კომპენსაციას და/ან ადგილმონაცვლეობას და მოითხოვონ დიდი კომპენსაცია. 	<p>ზომიერი ჩართულობა</p>	<p>საჭიროებების წინასწარ განსაზღვრა და დაკმაყოფილება;</p>
<p>მუნიციპალური და რეგიონული მთავრობა</p>	<ul style="list-style-type: none"> - დუშეთის მუნიციპალიტეტი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონი 	<p>- პასუხისმგებელი ადგილობრივი სოფლის განვითარებაზე.</p>	<ul style="list-style-type: none"> - შესაძლოა იმოქმედოს პროექტის მხარდამჭერის როლში, მაგ. ზედამხედველობა, საჩივრების მართვა; - შეუძლია ხელი შეუწყოს პროექტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას 	<p>ზომიერი ჩართულობა</p>	<p>ყოველმხრივი მართვა</p>

<p>დაინტერესებული სახელმწიფო უწყებები</p>	<p>- წამყვანი უწყებები და სამინისტროები</p>	<p>- აქვთ პირდაპირი დაინტერესება პროექტის ასპექტების მიმართ (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ბიომრავალფეროვნება, სოფლის განვითარება, ტურიზმი). - კანონით აქვთ მინიჭებული პროექტის სხვადასხვა ასპექტის ზედამხედველობის მანდატი.</p>	<p>- პროექტის განვითარებასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებები. - შეუძლიათ პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა. - ინფორმაციის გავრცელება.</p>	<p>სრული ჩართულობა</p>	<p>ყოველმხრივი მართვა</p>
---	---	--	--	------------------------	---------------------------

<p>არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები</p>	<p>- არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სოფლის განვითარების და საარსებო წყაროების დივერსიფიცირების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მმართველობითი შესაძლებლობების განვითარების დარგებში. - დარგის ექსპერტები გზების განვითარებაში, სოფლის დაგეგმარებასა და განვითარებაში, გეომორფოლოგიაში და ა.შ. - კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.</p>	<p>- გააცნობიერებული აქვთ ადგილობრივი პრობლემები, კულტურულ მემკვიდრეობასთან, თემის საჭიროებებთან და ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები.</p>	<p>- შეუძლიათ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდონ პოზიტიური ან ნეგატიური ხედვა პროექტის შესახებ. - შეუძლიათ პარტნიორობისა და დახმარების შემოთავაზება განსახლების სამოქმედო გეგმის და თემის განვითარების პროგრამების განხორციელებაში. - შეუძლიათ ხელი შეუწყონ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროვებას. - შეუძლიათ დახმარების გაწევა კონსულტაციების პროცესში თემების მობილიზებაში მათგან უკუკავშირის მიღების და პროექტის განხორციელებისას პროექტისთვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.</p>	<p>ზომიერი ჩართულობა</p>	<p>ყურადღების გამოჩენა</p>
---	---	---	---	--------------------------	----------------------------

<p>სამეცნიერო წრეები და დარგის ექსპერტები</p>	<p>- დარგის ექსპერტები გზების განვითარებაში, სოფლის დაგეგმარებასა და განვითარებაში, გეომორფოლოგიაში და ა.შ.</p>	<p>- ინტერესი კონკრეტულ სექტორებზე პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებაში.</p>	<p>- შეუძლიათ ხელი შეუწყონ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროვებას</p>	<p>ზომიერი ჩართულობა</p>	<p>ყურადღების გამოჩენა</p>
---	---	--	--	--------------------------	----------------------------

საერთაშორისო პარტნიორები	- ADB, EBRD	<ul style="list-style-type: none"> - უზრუნველყოფენ პროექტის დაფინანსებას. - აქვთ მანდატი, უზრუნველყონ, რომ სრულდებოდეს ორგანიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ზომები. - პასუხისმგებელი არიან პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებზე. 	<ul style="list-style-type: none"> - შეუძლიათ შეაფერხონ პროექტის განვითარება. - შეუძლიათ დაფინანსების შეჩერება. - შეუძლიათ უზრუნველყონ ტექნიკური დახმარება პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ მართვასა და რისკების შერბილებაში. 	სრული ჩართულობა	რეგულარული ინფორმირება
პრესა და მედია	- ადგილობრივი და ეროვნული მასშტაბის გაზეთები, ვებგვერდები, რადიო და ტელევიზია.	- საზოგადოების ინფორმირება პროექტთან დაკავშირებით, სხვადასხვა დაინტერესებული მხარისაგან შენიშვნებისა და შეხედულებების მოგროვება და გავრცელება.	- შეუძლიათ ხელი შეუწყონ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებას	ზომიერი ჩართულობა	რეგულარული ინფორმირება

გთხოვთ, აგრეთვე იხილოთ დანართი „დ“ იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ მონაწილეობენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხელშეწყობაში, პროექტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში და აგრეთვე შესაბამისი ინფორმაციისა და უკუკავშირის მოპოვებაში ზემოთ იდენტიფიცირებული სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისგან.

7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

7.1. ჩართულობის ზოგადი პრინციპები

პროექტთან მიმართებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობები შემდეგი პრინციპების მიხედვით წარიმართება:

- საჯარო განხილვისთვის გამოტანილი დოკუმენტების შინაარსი უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და ადეკვატურ ინფორმაციას პროექტის შესახებ და არ წარმოშობს უსაფუძვლო შიშს (პოტენციურად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით) ან მოლოდინს (პოტენციურად დადებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.);
- წერილობით ინფორმაციას თან უნდა ახლდეს ვიზუალური ილუსტრაციები და ახსნა-განმარტებები, რაც აუცილებელია პროექტის არსის უკეთ გასაგებად;
- ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდებული იქნება ქართულ ენაზე მათთვის კულტურულად მისაღები ფორმით; აუცილებელია მოწყვლადი ადამიანების გათვალისწინება;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ADB-ს და EBRD-ის მიერ გასასაჯაროებელი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნება ქართულ ან ინგლისურ ენაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, ორივე ენაზე.

- თუ წარმოიშვება კრიტიკული საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, შედეგების შემოწმების და შესაბამის შემარბილებელი ზომების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შემოთავაზებული იქნეს სემინარები, რომელთა საშუალებით დაზუსტდება ტექნიკური პროცესები, შეფასების მეთოდები და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები.
- ძალისხმევა არ იქნება დაშურებული არა მხოლოდ შემოთავაზებული პროექტისა და გზმ პროცესის, არამედ მოქმედი ეროვნული კანონებისა და კანონმდებლობის, საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების ასახსნელად და თუ როგორ განახორციელებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მათთან შესაბამისობას.
- და მიღებული იქნება ყველა ძალისხმევა იმისათვის, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მონაწილეობა მიიღოს ჩართულობის აქტივობებში, ჰქონდეს როგორც პირადი, ასევე ვირტუალური დასწრების შესაძლებლობა საკონსულტაციო შეხვედრებზე.

აზიის განვითარების ბანკი ისწრაფვის, რომ ყოვლისმომცველი საკონსულტაციო პროცესი დანერგოს პრაქტიკაში. ყოვლისმომცველი კონსულტაცია ეს არის პროცესი, რომელიც:

- იწყება ადრეულ, პროექტის მომზადების საფეხურზე, და მიმდინარეობს უწყვეტად პროექტის ციკლის განმავლობაში;
- უზრუნველყოფს ისეთი სათანადო და ადეკვატური ინფორმაციის გასაჯაროებას, რომელიც გასაგები და თავისუფლად ხელმისაწვდომია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის;
- განხორციელებულია მუქარის ან იძულებისგან თავისუფალ ატმოსფეროში;
- ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს და არის გენდერულად სენსიტიური და მორგებული დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე; და
- იძლევა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების და სხვა დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინების საშუალებას ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორცაა პროექტის შემუშავება, შემარბილებელი ზომები, განვითარების სარგებლის და შესაძლებლობების გაზიარება და განხორციელების საკითხები.

მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა

მოწყვლადი ჯგუფები შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანები, რომლებმაც პროექტის შედეგად, სხვებთან შედარებით შესაძლოა განიცადონ განსხვავებული ან სპეციფიკური ზემოქმედება გამომდინარე თავიანთი სქესიდან, ეთნიკურობიდან, ასაკიდან, ფიზიკური ან გონებრივი შეზღუდულობიდან, ეკონომიკური მოწყვლადობიდან ან სოციალური სტატუსიდან. საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობები ხელმისაწვდომი გახდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის და ხელს შეუწყობს ჩართულობის მიზანმიმართულ აქტივობებს, მიმართულს მოწყვლად ჯგუფებზე, როგორც ამას მოითხოვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნა 10.

ქვემოთ მოყვანილი ზომები განხორციელდება იმისათვის, რომ გაიზარდოს მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და პროექტის განვითარების პროცესში მონაწილეობის მიღების მხრივ:

- მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება მოხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის პროცესების განმავლობაში, რაც განხორციელდება თემის კვლევის საფუძველზე საქართველოს მთავრობისგან მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციის დაზუსტების მიზნით;

- თემის წარმომადგენლებთან რეგულარული დიალოგის საფუძველზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ადამიანებისა და ამ ადამიანთა ჯგუფების იდენტიფიცირებას და მათი ვინაობის შეტანას დაინტერესებულ მხარეთა რეესტრში; და
- პერსონალი დაადგენს კონსულტაციასთან დაკავშირებულ იმ მიდგომებს და ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეწყობენ მოწყვლადი პირების ეფექტურ ჩართულობას. ჩართულობა შესაძლებელია განხორციელდეს ღია (შეხვედრები თემის მასშტაბით) და სელექტიური მეთოდების (მიზნობრივი ჩართულობა) დახმარებით:
 - ტრანსპორტით გადაყვანა შეხვედრის ადგილამდე;
 - ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობების ჩატარება ცენტრალურ, ადვილად მისადგომ ადგილებში ან რამოდენიმე ადგილას მგზავრობის დროის შემცირების მიზნით;
 - რეგულარული ინდივიდუალური შეხვედრები მოწყვლად საოჯახო მეურნეობებთან, სადაც ადამიანებმა ან ოჯახებმა არ იციან ქართული, თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა შეხვედრებზე;
- მოწყვლადი ჯგუფებისთვის საავტომობილო გზების დეპარტამენტთან უკუკავშირის მიწოდების მეთოდების უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიღება ისე, რომ არ იყოს ამისათვის საჭირო მგზავრობა.
- ჩართულობის მეთოდების ეფექტიანობის შეფასების კონტროლი მოხდება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა იმ მოწყვლადი ადამიანების/ჯგუფების რაოდენობის დადგენა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ან ესწრებიან ჩართულობის აქტივობებს.

ჩართულობის მეთოდები

პროექტის განხორციელების პერიოდში გამოყენებული იქნება ჩართულობის სხვადასხვა მეთოდი იმ დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირების ან ჩართულობის მიზნით, რომლებიც ნამდვილად დაინტერესებულნი არიან პროექტით. გამოსაყენებელი მეთოდები დეტალურად აღწერილია **C დანართში**.

7.2 აქტივობების განხორციელება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები განხორციელდება სგდ-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის, ასევე მშენებლობისა და ექსპლოატაციის ფაზებში. ჩართულობის სიხშირე, მასშტაბი და მეთოდები განსხვავებული იქნება პროექტის ეტაპების მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის განხორციელების ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები აღწერილია მე-4 თავში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამის განხორციელება მოიცავს პროექტის შემდეგ ფაზებსა და ქვეფაზებს:

- წინასამშენებლო ფაზა

-
- სკოპინგის ფაზა
 - EIA-ს მომზადების ფაზა
 - EIA-ს გამოქვეყნების ფაზა (ასევე გამოქვეყნების შემდგომი პერიოდი, მშენებლობის დაწყებამდე)

▪ მშენებლობის ფაზა

▪ ექსპლოატაციის ფაზა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების პროგრამა, რომელიც განხორციელდება თითოეულ ფაზაში, წარმოდგენილია სურათი N2-ზე და დეტალურად აღწერილია ქვემოთ მოცემულ თავებში.

წინასამშენებლო ეტაპი

სკოპინგის ეტაპი

აქტივობები:

- სკოპინგის ანგარიშის შემუშავება და გასაჯაროება (15 დღე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად);
- საჯარო განხილვა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად;
- სკოპინგის ანგარიშისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ESIA) მომზადების პერიოდში განხორციელებული ჩართულობის აქტივობები

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ESIA) მომზადება

აქტივობები:

- საბაზისო ინფორმაციის შეგროვება და პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის წინასწარი გასაჯაროება ფოკუს-ჯგუფებთან განხილვების, პირისპირ გასაუბრების, ინფორმაციის მოწოდების ძირითად წყაროსთან გამართული ინტერვიუების დახმარებით;
- საჯარო შეხვედრები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ESIA) პროექტის განხილვასთან დაკავშირებით;
- ჩართულობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები, ჩატარებული მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

მიზნობრივი დაინტერესებული მხარეები: ყველა, განსაკუთრებით ძირითადი ინფორმატორები, პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები და მოწყვლადი ჯგუფები.

ESIA-ს ანგარიშის გასაჯაროება

აქტივობები:

- ESIA-ს ანგარიშის პროექტის, განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მომზადება და გასაჯაროება (40 დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისა, და 120 დღე - EBRD-სა და ADB-ს მოთხოვნების შესაბამისად).
- საჯარო განხილვები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად;
- ჩართულობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები, ჩატარებული მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

მიზნობრივი დაინტერესებული მხარეები: ყველა, განსაკუთრებით უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები და მოწყვლად ჯგუფები.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ESIA) დამტკიცება

მშენებლობის ეტაპი

აქტივობები:

საჯარო შეხვედრები (მინიმუმ ერთი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და ერთი ყოველწლიურად);

არაოფიციალური შეხვედრები;

საინფორმაციო ბიულეტენები და ინტერნეტში განთავსება (საინფორმაციო ბიულეტენები, სულ მცირე, ერთი ყოველ სამ თვეში);

ჯგუფური შეხვედრები თემის წევრებთან (მოთხოვნის მიხედვით);

ღია კარის დღეები (მოთხოვნის მიხედვით);

გარე ანგარიშის გამოქვეყნება (სულ ცოტა, ყოველწლიურად);

მიზნობრივი დაინტერესებული მხარეები: ყველა, განსაკუთრებით უშუალო

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები და მოწყვლად ჯგუფები.

ექსპლუატაციის ეტაპი

აქტივობები:

საჯარო შეხვედრები (მინიმუმ ერთი პროექტის ინაუგურაციამდე, ერთი - ექვსი თვის შემდეგ, ერთი - ერთი წლის შემდეგ, ხოლო დამატებითი შეხვედრები დაინიშნება მოთხოვნის მიხედვით);

არაოფიციალური შეხვედრები;

საინფორმაციო ბიულეტენები და ინტერნეტში განთავსება (საინფორმაციო ბიულეტენები, სულ ცოტა, სამჯერ პროექტის დაწყების შემდეგ, ხოლო შემდგომში - მოთხოვნის მიხედვით);

ჯგუფური შეხვედრები (მოთხოვნის მიხედვით);

გარე ანგარიშის გამოქვეყნება (სულ მცირე, ყოველწლიურად).

მიზნობრივი დაინტერესებული მხარეები: ყველა, განსაკუთრებით უშუალო

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაინტერესებული მხარეები და მოწყვლად ჯგუფები.

სურათი 2: პროექტის თითოეულ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების პროგრამის დიაგრამა

7.2.1. მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოქვეყნება

მე-3 ცხრილში მოცემულია პროექტის თითოეულ ეტაპზე გამოსაქვეყნებელი დოკუმენტები და მათი გამოქვეყნების მეთოდები.

ცხრილი 3: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეტაპების განმავლობაში გამოსაქვეყნებელი დოკუმენტები

პროექტის ეტაპი	დოკუმენტის გამოქვეყნება	გამოქვეყნების მეთოდები
წინასამშენებლო ეტაპი: სკოპინგის ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> სკოპინგის ანგარიში 	<p>ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge/?lang=geo)
წინასამშენებლო ეტაპი: ეროვნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) გამოქვეყნების ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> ეროვნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიში, რომელიც მოიცავს არატექნიკურ მოკლე მიმოხილვას და გარემოსა და სოციალური მართვის გეგმას; 	<p>ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> გარემოს დაცვის სამინისტრო (http://www.moe.gov.ge/en/home) საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge/?lang=geo) <p>ნაბეჭდი ვერსია ხელმისაწვდომი იქნება:</p> <ul style="list-style-type: none"> ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების სათავო ოფისებში, <p>ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ, მოთხოვნის საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> სოფლის წარმომადგენლებისთვის საჯარო შეხვედრებისას <p>გარდა ამისა, ხშირად დასმული კითხვები და პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი ხელმისაწვდომი იქნება ციფრულად და ნაბეჭდი სახით ქართულ ენაზე.</p>

<p>წინასამშენებლო ეტაპი: საერთაშორისო ESIA-ს გამოქვეყნების ეტაპი</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ საერთაშორისო ESIA-ს ანგარიში, რომელიც მოიცავს არატექნიკურ მოკლე მიმოხილვას და გარემოსა და სოციალური მართვის გეგმას; ■ განსახლების ჩარჩო; ■ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა. <p>გარდა ამისა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) გამოაქვეყნებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას (ESAP).</p>	<p>ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ EBRD – 120 დღის განმავლობაში (გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიში) (https://www.ebrd.com/esia.html) ■ ADB - 120 დღის განმავლობაში (https://www.adb.org/projects/51257-002/main#project-documents)
<p>პროექტის მშენებლობის ეტაპი</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP); ■ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP); ■ საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა ■ ბროშურა ხშირად დასმულ კითხვებზე; ■ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოკლე მიმოხილვა მარშრუტის ალტერნატივების შესახებ; 	<p>ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge) ■ პროექტის ვებ-გვერდი (https://kveshetikobiroad.ge/en/)
	<ul style="list-style-type: none"> ■ ბროშურა საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ; ■ თემის საჭიროებების შეფასების ანგარიში; ■ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოკლე მიმოხილვა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ; ■ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოკლე მიმოხილვა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ; ■ სპეციფიკური EMSP-ების შეჯამება; ■ კულტურული მემკვიდრეობის მართვის განხორციელების მიმოხილვა (2019-2022 წწ.); ■ სხვა დოკუმენტები, რომლებიც არ 	

პროექტის ეტაპი	დოკუმენტის გამოქვეყნება	გამოქვეყნების მეთოდები
	<p>უკავშირდება პროექტს.⁴</p> <ul style="list-style-type: none"> ■ გარე ანგარიშები, როგორც ეს აღწერილია 5.2.2 ნაწილში ■ საინფორმაციო ბიულეტენები და ვებ-გვერდზე პოსტების გამოქვეყნება. ■ სათემო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 	<p>ყველა დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია გადაეცემა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან/და წარმომადგენლობით ორგანოს.</p> <p>ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ, მოთხოვნის საფუძველზე და საჯარო შეხვედრებისას.</p> <p>საინფორმაციო ბიულეტენები და ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება იმ ყველა დაინტერესებულ მხარეთათვის, რომლებიც ჩართულნი არიან დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებულ აქტივობებში. (ელექტრონული ფოსტის/ მუნიციპალიტეტებში არსებული „პროექტის მაგიდის“ საშუალებით და სხვა საშუალებებით).</p>

⁴ გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებისა, არის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც არ წარმოადგენს პროექტის ნაწილს, მაგრამ მომზადდა ADB-ის ტექნიკური მხარდაჭერით და წარედგინათ დაინტერესებულ მხარეებს. ეს დოკუმენტებია: ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის (HHRP) წინასწარი პროექტი (პრეზენტაცია ადგილობრივი თემებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და პროფესიული ორგანიზაციებისთვის) და ხადას ხეობის განვითარების გეგმის (KVDP) კონცეფციის პროექტი. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ყველა აქტივობა, რომელიც განხორციელებული იქნება ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმასთან და ხადას ხეობის განვითარების გეგმასთან მიმართებაში, გამოქვეყნდება, როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ცალკეული ნაწილი, რომელიც განთავსდება პროექტის ვებგვერდზე.

<p>პროექტის ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპი</p>	<ul style="list-style-type: none"> ■ გარე ანგარიშები, როგორც ეს აღწერილია 5.2.2 ნაწილში ■ საინფორმაციო ბიულეტენები და ვებ-გვერდზე პოსტების გამოქვეყნება. ■ სათემო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). 	<p>ყველა დოკუმენტის ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge) ■ პროექტის ვებ-გვერდი (https://kveshetikobiroad.ge/en/) <p>ყველა დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია გადაეცემა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და წარმომადგენლობით ორგანოს.</p> <p>ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ, მოთხოვნის საფუძველზე და საჯარო შეხვედრებისას.</p> <p>საინფორმაციო ბიულეტენები და ანგარიშები გაეგზავნება ფოსტითა და ელექტრონული ფოსტით ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც ჩართულნი არიან ჩართულობასთან დაკავშირებულ აქტივობებში.</p>
--	---	---

7.2.2. წინასამშენებლო ეტაპი

სკოპინგის ეტაპი

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, გარემოს დაცვის სამინისტრომ ორი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა გამართა, ანგარიშის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მიღების მიზნით. პირველი შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 10 ივლისს, დილის საათებში, სოფელ ქვეშეთის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ადმინისტრაციულ შენობაში.

მეორე შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 10 ივლისს, შუადღეს, სოფელ კობის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) ადმინისტრაციულ შენობაში.

გარემოზე ზემოქმედების შესაფების (EIA) მომზადების ეტაპი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) მომზადების ეტაპის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მნიშვნელოვანია საბაზისო ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ისევე როგორც, დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის, პოტენციური ზემოქმედებისა და

შემარბილებელი ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით და ასევე პროექტის შესახებ მათი შეხედულებების გაგების მიზნით. პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გარდა, ამ ეტაპის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების მიზანს წარმოადგენს ხმაურის ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება, რომელიც დაფუძნებული იქნება საბაზისო ინფორმაციაზე და რომელშიც განხილული იქნება ადგილობრივი თემის მიერ წამოჭრილი საკითხები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) გამოქვეყნების ეტაპი

გზშ-ს გამოქვეყნების ეტაპზე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ზემოქმედების შეფასების შედეგებისა და მასთან დაკავშირებული მართვის გეგმების შესახებ. საჯარო შეხვედრები ეროვნული გზშ-ს გავრცელებასთან დაკავშირებით, როგორც ამას მოითხოვდა საქართველოს კანონმდებლობა, ჩატარდა 2018 წლის 10 დეკემბერს, კობსა და მლეთაში, როგორც ეს მითითებულია მე-4 ცხრილში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, ამ ეტაპის განმავლობაში, განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოთხოვნათა დაცვით, როგორც ეს აღწერილია მე-3 ნაწილში.

აღნიშნული ეტაპის განმავლობაში, დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღეს ინფორმაცია საჩივრების განხილვის მექანიზმისა და საჩივრის შეტანის პროცედურის შესახებ.

გზშ-ს გამოქვეყნების ეტაპის განმავლობაში განხორციელებული ძირითადი აქტივობები შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 4: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების პროგრამა გზშ-ს გამოქვეყნების ეტაპის განმავლობაში

დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	გასავრცელებელი ინფორმაცია	განრიგი/სიხშირე
ყველა დაინტერესებული მხარე	ღია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად	ეროვნული გზშ-ს გამოქვეყნება	ჩატარდა 2018 წლის 10 დეკემბერს კობსა და მლეთაში
გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ფარგლებში იდენტიფიცირებული მოწყვლადი ოჯახები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც არ შეუძლია საჯარო შეხვედრებში მონაწილეობა	პირისპირ შეხვედრები საჭიროების მიხედვით	გზშ-ს გამოქვეყნება, რომელიც ფოკუსირებულია შინამეურნეობებზე არსებულ ზემოქმედებასა და დადგენილ შემარბილებელი ზომებზე.	პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ მალევე / ერთხელ თითოეულ შინამეურნეობაზე საჭიროების მიხედვით
გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი, WWF, CENN და სხვა	ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები	გზშ-ს გამოქვეყნება, რომელიც ფოკუსირებულია გარემოსდაცვით საკითხებზე და მათთან დაკავშირებულ დადგენილ შემარბილებელ ღონისძიებებზე.	პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ მალევე/ ერთხელ, დამატებითი შეხვედრების ჩატარების საჭიროების მიხედვით
ტურიზმით, ბიზნესითა და ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებული ჯგუფი/ჯგუფები	ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები	გზშ-ის გამოქვეყნება, რომელიც ფოკუსირებულია ადგილობრივი განვითარების შესაძლებლობასა და მასთან დაკავშირებულ დადგენილ გაუმჯობესების ღონისძიებებზე.	პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ მალევე/ ერთხელ, დამატებითი შეხვედრების ჩატარების საჭიროების მიხედვით

<p>ყველა დაინტერესებული მხარე, რომლებმაც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებულ წინა აქტივობების დროს გამოხატეს შემდგომ კონსულტაციებში მონაწილეობის მიღების სურვილი</p>	<p>ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები</p>	<p>გზმ-ს გამოქვეყნება, რომელიც ფოკუსირებულია გარემოსდაცვით საკითხებზე და მათთან დაკავშირებულ დადგენილ შემარბილებელ ღონისძიებებზე.</p>	<p>პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ მალევე/ ერთხელ, დამატებითი შეხვედრების ჩატარების საჭიროების მიხედვით</p>
---	---	---	--

7.2.3. მშენებლობის ეტაპი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასამშენებლო და მშენებლობის ეტაპის განმავლობაში, რადგან ეს ის ეტაპია, როდესაც ზემოქმედება აღწევს პიკს და, აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიური კომუნიკაცია უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა გაგრძელდება აღნიშნული ეტაპის განმავლობაში პერიოდული აქტივობებით და რეგულარული ინტერვალებით, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 5: პროექტის მშენებლობის ეტაპის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი

დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	გასავრცელებელი ინფორმაცია	განრიგი / სიხშირე
ყველა დაინტერესებული მხარე (სპეციალური დებულებები იქნება დადგენილი მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის მიღების მიზნით)	ღია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა	აქტივობებისა და განრიგის აღწერა, EPC კონტრაქტორის წარდგენა, აქტივობების მიმდინარეობასა და მონიტორინგთან დაკავშირებული ზომების შესახებ განახლებული ინფორმაცია და მოწოდებული იქნება ინფორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტებისა და გადაუდებელი გეგმების შესახებ მშენებლობის დროს.	ერთხელ, ყოველი ლოტის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს დამატებითი საჯარო კონსულტაციები. თუ შესაძლებელია, საკონსულტაციო შეხვედრები უნდა ჩატარდეს გაზაფხული/ზაფხულის თვეებში, როდესაც ესწრება მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.
მოწყვლადი ჯგუფები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სხვა პირები	პერიოდული შეხვედრები	განახლებული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ	განისაზღვრება საჭიროების მიხედვით
დუშეთისა და ყაზბეგის გამგებლები	პერიოდული შეხვედრები	განახლებული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ	განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, კერძოდ, ყოველკვარტალურად
გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის	ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები	განახლებული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ	სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან მალევე და, სულ მცირე, ყოველწლიურად

სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი, WWF, CENN და სხვა			
ტურიზმით, ბიზნესითა და ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებული ჯგუფი/ჯგუფები	ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები	განახლებული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ	სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან მალევე და, სულ მცირე, ყოველწლიურად
ყველა დაინტერესებული მხარე, რომლებმაც წინა ჩართულობის დროს გამოხატეს შემდგომ კონსულტაციებში მონაწილეობის მიღების ინტერესი.	ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები	განახლებული ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობისა და მონიტორინგის აქტივობების შესახებ	სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან მალევე და, სულ მცირე, ყოველწლიურად
ყველა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროექტის ტექნიკური ასპექტებით (სტუდენტები, უნივერსიტეტები, პროფესიონალთა ასოციაციები და სხვა)	ღია კარის დღეები	შესამღებლობა იმისა, რომ საკუთარი თვალთ ნახონ თუ როგორ ხორციელდება სამშენებლო სამუშაოები და რა ტექნიკა გამოიყენება (განსაკუთრებით გვირაბის მშენებლობისთვის).	განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, კერძოდ, ყოველ სემესტრში

დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	გასავრცელებელი ინფორმაცია	განრიგი / სიხშირე
<p>ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში და რომლებიც იმყოფებიან საკონტაქტო სიაში</p>	<p>საინფორმაციო ბიულეტენები და ვებ-გვერდზე პოსტების გამოქვეყნება</p>	<p>რეგულარულად განახლებული ინფორმაცია აქტივობების პროგრესის, განრიგის ცვლილების, მონიტორინგის აქტივობების და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. საინფორმაციო ბიულეტენი გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდება იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ ელექტრონული ფოსტა. გარდა ამისა, აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.</p>	<p>საინფორმაციო ბიულეტენები გამოიცემა ყოველ სამ თვეში ერთხელ, ვებ-გვერდზე პოსტები განთავსდება საჭიროებისამებრ, როცა ახალი ამბების გაზიარება ჩაითვლება საჭიროდ.</p>
<p>ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში და რომლებიც იმყოფებიან საკონტაქტო სიაში</p>	<p>5.2.2 ნაწილით განსაზღვრული გარე ანგარიშები.</p>	<p>რეგულარულად განახლებული ინფორმაცია აქტივობების პროგრესის, განრიგის ცვლილების, მონიტორინგის აქტივობების და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. გარე ანგარიში გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდება იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ</p>	<p>ყოველ ექვს თვეში ერთხელ</p>

		ელექტრონული ფოსტა. გარდა ამისა, აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.	
კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და პროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებულად დაინტერესებულნი არიან ხუთეტაპიანი არქეოლოგიური სტრატეგიით	ვირტუალური შეხვედრები და საკონსულტაციო შეხვედრები	განახლებული ინფორმაციის მიწოდება კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების სტატუსის შესახებ, სტრატეგიული დოკუმენტების პროექტების წარდგენა, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის შეგროვება.	საჭიროებისამებრ

7.2.4. ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპი

ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპის განმავლობაში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი იქნება, განსაკუთრებით ხარვეზების აღმოფხვრის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში, გზის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. ეს ის პერიოდია, როდესაც დაინტერესებული მხარეები დაიწყებენ ზემოქმედების აღქმას და როდესაც, შეიძლება გაჩნდეს შეშფოთების რაიმე საფუძველი. თუ ერთი წლის შემდეგ არ წარმოიშვება რაიმე კონკრეტული პრობლემა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება შემცირდეს, თუმცა, სულ ცოტა, ერთი ანგარიში უნდა გამოიცეს ყოველწლიურად, ხოლო დაინტერესებულმა მხარეებმა ყოველთვის უნდა მიიღონ ინფორმაცია იმ საკონტაქტო პირის შესახებ, რომლის დახმარებითაც ისინი შეძლებენ დაკავშირებას საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპის ძირითადი აქტივობები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 6: პროექტის ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი

დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის მეთოდი	გასავრცელებელი ინფორმაცია	განრიგი / სიხშირე
ყველა დაინტერესებული მხარე (სპეციალური დებულებები იქნება დადგენილი მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის მიღების მიზნით)	ღია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა	იმ ძირითადი ზემოქმედებების აღწერა, რომლებიც მოსალოდნელი იყო ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპზე და განხორციელებული შემარბილებელი/მონიტორინგის ღონისძიებების აღწერა.	ერთხელ - გახსნამდე, ერთხელ - ექვსი თვის შემდეგ და ერთხელ - ერთი წლის შემდეგ, ხოლო შემდეგ - საჭიროების მიხედვით. თუ ეს შესაძლებელი იქნება, საკონსულტაციო შეხვედრები უნდა ჩატარდეს გაზაფხულის/ზაფხულის თვეებში, როცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმყოფება საპროექტო ტერიტორიაზე.
გზმ-ს მეშვეობით გამოვლენილი მოწყვლადი შინამეურნეობები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ საჯარო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება	პერიოდული შეხვედრები	იმ ძირითადი ზემოქმედების აღწერა, რომელიც მოსალოდნელი იყო ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპზე და განხორციელებული შემარბილებელი/მონიტორინგის ღონისძიებების აღწერა	განისაზღვრება საჭიროებისამებრ
დუშეთისა და ყაზბეგის გამგებლები	პერიოდული შეხვედრები	მონიტორინგის ღონისძიებების შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება	განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, კერძოდ, ყოველკვარტალურად პირველ წელს, ხოლო შემდეგ - საჭიროების მიხედვით

<p>გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებული ჯგუფი/ჯგუფები, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი, WWF, CENN და სხვა</p>	<p>ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები</p>	<p>მონიტორინგის ღონისძიებების შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება</p>	<p>პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ მალევე/ ერთხელ, დამატებითი შეხვედრების ჩატარების საჭიროების მიხედვით</p>
<p>ტურიზმით, ბიზნესითა და ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებული ჯგუფი/ჯგუფები</p>	<p>ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები</p>	<p>მონიტორინგის ღონისძიებების შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება</p>	<p>პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ მალევე/ ერთხელ, დამატებითი შეხვედრების ჩატარების საჭიროების მიხედვით</p>
<p>ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში და რომლებიც იმყოფებიან საკონტაქტო სიაში</p>	<p>საინფორმაციო ბიულეტენები და ვებ-გვერდზე პოსტების გამოქვეყნება</p>	<p>რეგულარულად განახლებული ინფორმაცია აქტივობების პროგრესის, განრიგის ცვლილებისა და მონიტორინგის აქტივობებიდან მიღებული შედეგების შესახებ. საინფორმაციო ბიულეტენი გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდებათ იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ ელექტრონული ფოსტა. გარდა ამისა, აღნიშნული აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე</p>	<p>საინფორმაციო ბიულეტენები გამოიცემა ყოველ სამ თვეში ერთხელ ექსპლუატაში შესვლის პირველი წლის განმავლობაში. ვებ-გვერდზე პოსტები განთავსდება საჭიროებისამებრ, როცა ახალი ამბების გაზიარება ჩაითვლება საჭიროდ</p>

<p>ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში და რომლებიც იმყოფებიან საკონტაქტო სიაში</p>	<p>5.2.2 ნაწილით განსაზღვრული გარე ანგარიშები</p>	<p>რეგულარულად განახლებული ინფორმაცია აქტივობების პროგრესის, განრიგის ცვლილებისა და მონიტორინგის აქტივობებიდან მიღებული შედეგების შესახებ. გარე ანგარიში გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდებათ იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ ელექტრონული ფოსტა. გარდა ამისა, აღნიშნული აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.</p>	<p>სულ მცირე, ყოველწლიურად ექსპლუატაციაში შესვლიდან პირველი ორი წლის განმავლობაში, შემდეგ კი საჭიროების მიხედვით</p>
---	---	---	--

8. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული, დღემდე განხორციელებული, აქტივობები.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) პროექტში ჩართვამდე (მაისი, 2018 წელი), საკონსულტაციო ღონისძიებები ჩატარდა პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და პროექტირების ეტაპზე, მაგრამ ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, შემდგომ შეჯამებაში აღნიშნული მოცემული არ არის. ყველა იმ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიების დეტალები, რომლებიც ჩატარდა წინასამშენებლო ეტაპიდან 2023 წლის იანვრამდე, მოცემულია **დანართ B-ში**.

როგორც გათვალისწინებულია გზმ-ში და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმაში, პროექტი მუდმივად აძლევს სისტემურ და დროულ შესაძლებლობებს ძირითად კულტურულ მემკვიდრეობებსა და ტურიზმზე ორიენტირებულ დაინტერესებულ მხარეებს, რეგულარულად მიიღონ მონაწილეობა პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში. კულტურული მემკვიდრეობითა და ტურიზმით დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარულად ჩატარდა კონსულტაციები და განხორციელდა მათი მნიშვნელოვანი ჩართულობა გზმ-ს შემუშავების პროცესში, წინასამშენებლო ეტაპზე, შემდგომი გამოქვეყნებისა და მიმდინარე მშენებლობის ეტაპზე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობები მოიცავდა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და მათი მომხმარებლების/დამცველების იდენტიფიკაციას საპროექტო მარშრუტის მიღმა, რამდენიმე გამოვლენილი ობიექტისთვის მნიშვნელობის დონის განსაზღვრას, შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებას და ა.შ.

8.1. წინასამშენებლო ეტაპი (აპრილი, 2018 წელი- სექტემბერი, 2020 წელი)

როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის 5.2 ნაწილშია მოცემული, წინასამშენებლო ეტაპი მოიცავს შემდეგს:

- სკოპინგის ეტაპი;
- გზმ/ მომზადების ეტაპი;
- გზმ/ გამოქვეყნების ეტაპი.

8.1.1 გზმ-ს მომზადების ეტაპი (აპრილი, 2018 წელი - მაისი, 2019 წელი)

2018 წლის აპრილიდან ეროვნული და საერთაშორისო გზმ-ს ანგარიშების გამოქვეყნებამდე, ჩატარდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული 42 ღონისძიება. აღნიშნულს ორგანიზება გაუწია საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და ჩატარდა ADB-ისა და EBRD-ის ექსპერტების, ასევე საკონსულტაციო კომპანიების მხარდაჭერით. დაინტერესებულ მხარეთა

ჩართულობის გეგმის ხელმძღვანელობით, ღონისძიებები ჩატარდა, როგორც ეროვნული მოთხოვნების, ასევე ADB-ისა და EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად.

შეხვედრებზე წამოჭრილი იყო სამი ძირითადი თემა: გზმ-ს პროცესი, მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP), ბიომრავალფეროვნება და პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ტურისტული კომპონენტი, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილია:

გარემოზე (და სოციალურ საკითხებზე) ზემოქმედების შეფასების პროცესი:

- 27 პირისპირ შეხვედრა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემის წევრებთან;
- 1 საჯარო შეხვედრა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან (მლეთა) მარშრუტისა და მისი ალტერნატივების განხილვის მიზნით;
- 2 ეროვნული გზმ-ის სკოპინგის გამოქვეყნების ღონისძიება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (ქვეშეთი და კობი).
- სამოქალაქო საზოგადოების 2 შეხვედრა მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან (თბილისი).
- 7 საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეროვნული მთავრობის ტექნიკურ ექსპერტებთან.
- 2 შეხვედრა ეროვნული გზმ-ს საჯარო გამოქვეყნების შესახებ (კობი და მლეთა).

გზმ-თან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო გარემოსდაცვითი და სოციალური საბაზისო მონაცემების შეგროვებას, გამოაქვეყნა გზმ-ს სკოპინგ ანგარიში და შემდგომი ეროვნული და საერთაშორისო გზმ-ს ანგარიშების პროექტები და შეგროვდა უკუკავშირი საერთაშორისო გზმ-ის დახვეწის მიზნით მის დასრულებამდე და საბოლოო გამოქვეყნებამდე. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უნდა გაიმართოს ერთი საჯარო შეხვედრა ეროვნული გზმ-ს სკოპინგის ანგარიშის გასაჯაროების მიზნით და ერთი საჯარო შეხვედრა ეროვნული გზმ-ის ანგარიშის გასაჯაროების მიზნით. პროექტმა გადააჭარბა ამ მოთხოვნას გამჟღავნების თითოეულ მოთხოვნაზე ორი შეხვედრის გამართვით.

მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP) და დანართები:

- ფოკუს ჯგუფის 7 შეხვედრა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან (ბეგონი (2), ქვეშეთი, კობი (2), ქვეშეთი, წკერე, ბენიანი)
- 7 საჯარო შეხვედრა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან (ბეგონი, წკერე, ქვეშეთი (2), ზაქათარი, მლეთა, კაიშაურები).

გარდა ამისა, თითოეული შინამეურნეობა, რომელიც უშუალოდ მოექცევა პროექტის ზემოქმედების ქვეშ, ჩართული იყო დეტალური აზომვითი კვლევის (DMS), როგორც მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის ნაწილის მომზადებაში (მიწის სარგებლობიდან ამოღების დასადგენად).

დანართი N1 (კონსულტაცია ჩატარებულია 2022 წლის იანვარში) – 1 საჯარო კონსულტაცია (სოფელი გუდაური)

დანართი N2 (კონსულტაცია ჩატარებულია 2024 წლის დეკემბერში) – 1 საჯარო კონსულტაცია (სოფელი წერე)

ბიომრავალფეროვნება:

- 5 შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებთან
- 1 შეხვედრა ეროვნული მთავრობის ექსპერტთან

პროექტის პოტენციური ტურისტული კომპონენტი:

- 2 შეხვედრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებთან (დუშეთი და ყაზბეგი)
- 3 შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ტურისტული კომპონენტი ჯერ კიდევ არსებობდა დაგეგმვის ადრეულ ეტაპებზე, წინასამშენებლო ეტაპის განმავლობაში, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველადი კონსულტაციების ჩატარების შემდეგ. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან პოტენციური ტურისტული შესაძლებლობების შესახებ კონსულტაციები გაგრძელდა წინასამშენებლო და სამშენებლო ეტაპების განმავლობაში.

პროექტის საკომუნიკაციო გეგმა ასევე დასრულდა 2019 წლის თებერვალში, რათა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განსახორციელებლად, წარმართულიყო მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც არ უკავშირდება ღონისძიებების გამართვას. მაგალითად, მომზადდა და გავრცელდა ხშირად დასმული კითხვები (FAQ) და საინფორმაციო ფურცელი.

8.1.2. გზშ-ს გამოქვეყნების შემდგომი ეტაპი (ივნისი, 2019 - სექტემბერი, 2020)

გზშ-ს გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ მშენებლობის დაწყებამდე, ჩატარდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებული შემდგომი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა მორიგ შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციასთან ეკოტურიზმის შესაძლებლობების შესახებ და 2 შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციებთან გზის ალტერნატივების შეფასებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხების განსახილველად. ჩატარდა არაერთი შეხვედრა, რათა პროექტზე მომუშავე გუნდს გაეცნო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი თემები და გაეცვალათ საკონტაქტო ინფორმაცია, მიეწოდებინათ ბანაკისა და სხვა დროებითი ობიექტების (ბეტონის შემრევი დანადგარის) ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია და შეთანხმებინათ აღნიშნული ადგილმდებარეობები და რათა, განეხილათ მისასვლელი გზებისთვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემისა და არსებული მისასვლელი გზების გაუმჯობესების საკითხები. გამართული შეხვედრები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

- 22 ინდივიდუალური შეხვედრა, რათა პროექტზე მომუშავე ჯგუფმა გაიცნოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლები.
- ფოკუს ჯგუფის 4 შეხვედრა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან, რომელიც მოიცავს საპროექტო ბანაკების ადგილმდებარეობას, დროებითი ობიექტების განლაგებასა და ადგილმდებარეობას და მისასვლელ გზებს.

- ინდივიდუალური შეხვედრა მისასვლელ გზაზე მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით.

8.2. მშენებლობის ეტაპი (ოქტომბერი, 2020 წელი - დღემდე)

პროექტის მშენებლობის ეტაპის განმავლობაში ტარდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სხვადასხვა ღონისძიება, რათა ადგილობრივ თემებს მიეწოდოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, გავრცელდეს ინფორმაცია დაგეგმილი აფეთქებითი სამუშაოების შესახებ, ჩატარდეს შენობის მდგომარეობის წინასწარი კვლევები და მოხდეს საჩივრების მექანიზმის განხილვა. გარდა ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარეს 2 სათემო და 1 ინდივიდუალური შეხვედრა, რათა განეხილათ სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება და პროაქტიულად დაეგეგმათ დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. ჩატარებული ღონისძიებები შეჯამებულია შემდეგნაირად (სრული დეტალებისთვის იხილეთ **დანართი B**).

2021 წლის ივნისში, პროექტის განხილვის მისიის შემდეგ განხორციელდა კომუნიკაციებთან დაკავშირებული მთელი რიგი აქტივობები: (i) პროექტის საინფორმაციო ცენტრი/ჯიხური დამონტაჟდა, მოეწყო და ექსპლუატაციაში შევიდა ქვეშეთში; (ii) ყველა სოფელში დამონტაჟდა სოფლის საინფორმაციო დაფები; (iii) გამოიცა კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი 2021 წლის მესამე და მეოთხე კვარტალისათვის და განახლებულდა ხშირად დასმული კითხვები (FAQ); (iv) მომზადდა დოკუმენტების სერია და გამოქვეყნდა პროექტის ვებგვერდზე, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოკლე მიმოხილვა კულტურული მემკვიდრეობისა და თემის განვითარების შესახებ, დროებითი ობიექტების შეფასების ანგარიში, კონკრეტული გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შეჯამება, კულტურული მემკვიდრეობის მართვის განხორციელების მიმოხილვა (2019-2022), და პრეზენტაციები სამუშაო შეხვედრების შესახებ; (v) პოსტებისა და ვიდეოების სერია მომზადდა და გამოქვეყნდა Facebook-სა და YouTube-ზე, შესაბამისად; და (vi) ერთი მედია ტური მოეწყო 2022 წლის მაისში. (vii) საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის შემუშავება და შესაბამისი კონსულტაციების ჩატარება საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის მომზადებისა და განხორციელების დროს.

საარსებო წყაროს აღდგენა და განვითარება

დამტკიცებული LARP-ში მოცემულია ფულადი კომპენსაცია და სხვა ფულადი სარეაბილიტაციო დახმარება საარსებო წყაროს აღდგენისთვის. პროექტისთვის შემუშავებული უფლებმოსილებათა მატრიცა მოიცავს ზემოქმედების ტიპს, დასაშვებობის კრიტერიუმებს, კომპენსაციის მოთხოვნას, განვითარების დახმარებას და დამატებით სარგებელს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის/შინამეურნეობებისთვის.

თემის საჭიროებების შეფასებებისა და საჯარო კონსულტაციების შედეგებზე დაყრდნობით,⁵ როგორც ფულადი კომპენსაციისა და სხვა ფულადი რეაბილიტაციისთვის დამატებითი ქმედება საარსებო წყაროს აღდგენისთვის პროექტის LARP-ების ფარგლებში, ასევე ნეგატიური ზემოქმედების შემდგომი შერბილების მიზნით, მოწყვლადობის აღმოფხვრა და მდგრადი ზრდისა და საარსებო წყაროს გაუმჯობესების უზრუნველყოფა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებს ასევე ექნებათ პროექტის ფარგლებში დამატებითი არაფინანსური დახმარების უფლება.

საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა (LRP) მომზადებულია პროექტის ფარგლებში LAR-ის გეგმების შესასრულებლად შემოსავლის ან საარსებო წყაროს აღდგენის ან გაუმჯობესებისთვის არაფინანსური დახმარების გაწევით მიზნობრივი და პრაქტიკული ტრენინგების და სხვა შესაბამისი ინტერვენციების სახით, თემის კონსულტაციებისა და თემის საჭიროებების შეფასების საფუძველზე. LRP-ის პროექტი მომზადდა 2023 წლის ივნისში, რის შემდეგაც იგი განახლდა 2023 წლის ნოემბერში კონსულტაციების შედეგების საფუძველზე და ჩატარდა ჩართულობის აქტივობები (roll-in)

ცხრილი 6-1 – საარსებო წყაროს აღდგენის გეგმის საბოლოო ფორმირებისთვის ჩატარებული საჯარო კონსულტაციები

ცხრილი 6 1-გამართული საჯარო კონსულტაციები LRP-ის დასასრულებლად

თარიღი	ადგილმდებარეობა	მიზნობრივი ჯგუფი	მონაწილეები მიმდებარე სოფლებიდან	შენიშვნები
ივლისი 11 (13 სთ. და 15 სთ.)	ქვეშეთის საჯარო სკოლა; წკერეს სამშენებლო ბანაკი	ადგილობრივი მოსახლეობა, მოწყვლადი და მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობა	არახვეთი, ქვეშეთი, ბედონი, წკერე, ბენიან-ბეგონი, წკერე და მულურე	შეხვედრას ესწრებოდა 20 ადამიანი, მათ შორის 6 ქალი და 14 მამაკაცი, მიმდებარე სოფლებიდან.
ივლისი 12	ზაქათკარის სამშენებლო ბანაკი	ადგილობრივი მოსახლეობა, მოწყვლადი და მძაფრი	ზაქათკარი, სეთურები და ჯადმიანი	9 მამაკაცი დაესწრო შეხვედრას.

⁵ LRP-ის მომზადება ასევე გათვალისწინებული იყო CRP-ის მიერ მომზადებულ გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმაში

		ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობა		
--	--	--	--	--

LRP განიხილება, როგორც პროექტის LARP-ის განუყოფელი ნაწილი, რათა უზრუნველყოს დამატებითი შემოსავლები და მომსახურება სარგებლის გაზიარების დახმარებით, ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის შესაბამისად. ეს დახმარება გააუმჯობესებს ოჯახის საარსებო მეურნეობას და სურსათის უსაფრთხოებას და დაეხმარება ადგილობრივ პროდუქციას ბაზარის წვდომაში, რათა ზემოქმედებულმა ადამიანებმა გააუმჯობესონ, ან სულ მცირე, აღადგინონ თავიანთი შემოსავლის პოტენციალი, წარმოების დონე და ცხოვრების დონე პროექტის ზემოქმედებამდე პერიოდის დონემდე. გეგმა მიზნობრიობა ვრცელდება ყველა იმ ადამიანზე, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს LAR-ით, ამასთან, ხელმისაწვდომია არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის პროექტის ზონაში.

გარდა ამისა, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) გუნდის მიერ ჩატარდა საჭიროებების შეფასების ყოვლისმომცველი შეხვედრები ადგილობრივ ფერმერებთან სხვადასხვა ადგილიდან. ეს შეხვედრები იყო გადაამწყვდები ნაბიჯი ამ თემებში არსებული განსაკუთრებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გასაგებად, რათა მოხდეს თემების ინფორმირება, პოტენციური ბენეფიციარების იდენტიფიცირება და ტრენინგების სასწავლო გეგმის შემუშავება.

დახმარების პროგრამები შემოთავაზებულია ორ ძირითად მიმართულებაში:

- სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამა: ამ პროგრამის სასწავლო მოდულები ორიენტირებული იქნება ტრენინგის ჩატარებაზე სოფლის მეურნეობის საქმიანობებზე, იმ მოსახლეობის შესაძლებლობებისა და უნარების გასაძლიერებლად, რომლებიც ჩართულნი არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილობრივად (ან სურთ ჩაერთონ), დაიწყოს ან განავითაროს სოფლის მეურნეობა. წარმოების განვითარება და გაყიდვა, შეეძლოს განსაზღვროს რომელ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს აქვს მეტი პოტენციალი, ხელი შეუწყოს და დაამყაროს კავშირები ბაზართან, მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს მენეჯმენტზე, პროდუქტის განვითარებაზე, შეფუთვაზე, მარკეტინგისა და სხვა დაკავშირებულ თემებზე.
- კვალიფიკაციის ამაღლება და დასაქმების პროგრამა ტურიზმში: ამ პროგრამის სასწავლო მოდულები ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის გაზიარება არსებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ორიენტაცია სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგებზე ინტერესის სხვადასხვა სფეროში, ასევე საბაზისო კომპიუტერული სწავლების კურსები. ადგილობრივი მოსახლეობის მხარდასაჭერად, დაინტერესებულ AP-ებს ჩაუტარდებათ უნარებზე ორიენტირებული ტრენინგები მათი პროფესიული უნარების ამაღლებისა და საარსებო წყაროს გაუმჯობესების მიზნით. ეს საშუალებას მისცემს მონაწილეებს გამოიკვლიონ საარსებო წყაროს ახალი შესაძლებლობები არსებული ან ახლად მიღებული უნარების მეშვეობით.

დამტკიცებული LRP-ის მიხედვით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) პასუხისმგებელია ADB-ის მიერ დაფინანსებული LRP-ის ფარგლებში „სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამის“ საერთო განხორციელებაზე, ხოლო „უნარების გაუმჯობესებისა და დასაქმების ტურიზმის სექტორში“ მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტივობები განხორციელდება პროექტის DMF-ის მოთხოვნების შესაბამისად და დაფინანსდება პროექტის ტექნიკური დახმარების და სესხის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში FAO ახორციელებდა სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სულ ორგანიზებული იყო 15 სასწავლო სესია, ხოლო 23 ბენეფიციარმა მიიღო ტექნიკური დახმარება და მონაწილეობა ტრენინგებში. კერძოდ, ჩატარდა სამი სასწავლო სესია: ერთი – მეცხოველეობის მიმართულებით და ორი – მებოლილი ყველის წარმოების ტექნიკებზე. ტრენინგები განხორციელდა 2024 წლის 13 თებერვლიდან 25 აპრილამდე პერიოდში.

ცხრილი 6 2 – FAO-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩამონათვალი

N	თარიღი	ტრენინგის საგანი	დამსწრეები	
			კაცი	ქალი
1	13.02.24	სოფელ ბედონის ბოსტნეულის მწარმოებელ ნერგების წარმოებაზე ტრენინგი ჩაუტარდა	1	6
2	09.04.24	სოფელ ბედონიდან მესაქონლეობის ახალი ჯგუფის პირველი ტრენინგი მეცხოველეობის შესახებ	1	8
3	24.04.24	კარტოფილის წარმოების შესახებ ტრენინგი ჩატარდა სოფელ ჯაღმიანის ფერმერთა ჯგუფისთვის.	3	3
4	24.04.24	ტრენინგი შებოლილი ყველის ტექნოლოგიაზე სოფელ ქვეშეთში და არხვეთში ფერმერთა ჯგუფისთვის.	0	6
5	25.04.24	ტრენინგი შებოლილი ყველის ტექნოლოგიაზე სოფელ ბედონში ფერმერთა ჯგუფისთვის	0	8

8.3. მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისგან მიღებული შედეგები:

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებით განხორციელებული აქტივობების შედეგად, დაინტერესებული მხარეების მიერ გამოვლინდა პროექტისგან მისაღები მოსალოდნელი სარგებელი, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ახალი გზა იქნება უფრო უსაფრთხო.
- მგზავრობას დასჭირდება ნაკლები დრო და ის უფრო კომფორტული იქნება.
- გაიზრდება ადგილობრივი საარსებო წყაროს შესაძლებლობები, როგორცაა ნაქსოვი წინდებისა და სხვა პროდუქტების გაყიდვა.
- ადგილობრივ სასტუმროებსა და რესტორნებს გაეზრდებათ ვაჭრობა.
- გაჩნდება ტურიზმის განვითარებისა და შემოსავლის მომტანი საქმიანობის პოტენციალი.
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის მეტი დასაქმების შესაძლებლობა იქნება.
- ხადას ხეობის სოფლებთან წვდომა იქნება მთელი წლის განმავლობაში და მეტი ადამიანი გადაწყვეტს ამ სოფლებში მუდმივად ცხოვრებას.
- იქნება უკეთესი ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ბაზრებსა და სხვა ობიექტებზე.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; და
- საპროექტო ტერიტორიის საერთო ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა,

განსაკუთრებით სოფლებში. (მათ შორის ფერმერული საქმიანობის და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების)

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებს ასევე მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა, პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისგან და დაინტერესებული მხარეებისგან. მე-7 ცხრილი აერთიანებს მათ 15 ძირითად საკითხად, რომელთაგან 9 საკითხი წამოიჭრა არაერთი საკონსულტაციო შეხვედრის დროს. აღნიშნული მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს, როგორებიცაა პროექტის გავლენა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე და ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და კომპენსაციასთან დაკავშირებულ კითხვებს.

რამდენიმე წამოჭრილი საკითხზე მოხდა უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდება (მაგალითად, საპროექტო მარშრუტის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია), ხოლო სხვები საჭიროებდნენ დამატებით შემარბილებელ ზომებს. მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის დამკვირვებლის ჩართვას, როგორც გზმ-ს შემარბილებელი ზომის მიღებას, რათა თავიდან იქნას არიდებული მშენებლობის ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე. ეს და სხვა ქმედებები ასევე შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ მე-7 ცხრილში.

ქვეშეთი-კობის გზის პროექტის შედეგად კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების პროგნოზირებული მასშტაბის გათვალისწინებით, პროექტმა მიიღო შემარბილებელი ღონისძიებების ყოვლისმომცველი ნაკრები, რომელიც ასევე მოიხსენიება, როგორც „ხუთეტაპიანი არქეოლოგიური სტრატეგია“, რომელიც მოცემულია როგორც ESMP-ში, ასევე გზმ-ში (გზმ-ს E და N დანართების ჩათვლით). ხუთეტაპიანი არქეოლოგიური სტრატეგია კონკრეტულად მოიცავს შემდეგს: (i) 1-ელი ეტაპი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული არსებული მონაცემებისა და მასალების მიმოხილვა; (ii) მე-2 ეტაპი, ვრცელი და ინტენსიური კვლევები და შესწავლებები; (iii) მე-3 ეტაპი, წინასამშენებლო მიწის სამუშაოები; (iv) მე-4 ეტაპი, სავარაუდო აღმოჩენები მშენებლობის დროს; და (v) მე-5 ეტაპი, ანგარიშგება. დეტალური ანგარიში, რომელშიც მოცემულია ყველა შემარბილებელი ღონისძიება, რომელიც განხორციელდა 2019 წლიდან 2022 წლამდე, მომზადდა და საჯაროდ გამოქვეყნდა 2022 წლის ივნისში პროექტის ვებგვერდზე: <https://kveshetikobiroad.ge/en/public-information/>.

ხუთეტაპიანი არქეოლოგიური სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა დამატებითი კვლევებისა და შემარბილებელი ღონისძიებების სერია, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა NACHP-ის ანგარიშს. ძირითადი დაინტერესებული მხარეების ყველაზე ფართო ჯგუფის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ძირითადი დოკუმენტაცია, მასალები და ინფორმაცია ხუთეტაპიანი არქეოლოგიური სტრატეგიის განხორციელების შესახებ ასევე გამოქვეყნებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და პროექტის ვებგვერდებზე. ძირითადი გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც ეხება კულტურულ მემკვიდრეობაზე ორიენტირებულ შემარბილებელ ღონისძიებებს, მოიცავს შემდეგს:

(i) ბროშურა ხშირად დასმული კითხვების შესახებ;

- (ii) თემის საჭიროებების შეფასების ანგარიში;
- (iii) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოკლე მიმოხილვა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
- (iv) კულტურული მემკვიდრეობის მართვის განხორციელების მიმოხილვა (2019-2022);
- (v) სპეციფიკური EMSP-ების შეჯამება.

ცხრილი 7: დაინტერესებული მხარეების მიერ დღემდე წამოჭრილი ძირითადი საკითხები და პასუხები

ძირითადი წამოჭრილი საკითხები	წამოჭრილი საკითხების ავტორები	პირველადი განმარტებები/პასუხები	პროექტის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ჩართულობასთან დაკავშირებით	მითითება გზშ-ზე
<p>1. პროექტის ზემოქმედება ისეთ კულტურულ ძეგლებზე, როგორცაა საფლავები, სალოცავები და ეკლესიები</p>	<p>ქვეშეთის, კობის და ალმასიანის მოსახლეობა; საქართველოს ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენელი</p>	<p>პროექტის თანახმად, კულტურული ძეგლები არ დაზიანდება მშენებლობისას და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პროექტთან თანამშრომლობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.</p>	<ul style="list-style-type: none"> ინჟინერმა დაიქირავა კულტურული მემკვიდრეობის ორი დამკვირვებელი, რომლებიც სამშენებლო მოედანზე იმყოფებიან ნიადაგის ზედა ფენის მოხსნისას და მიწის საწყისი სამუშაოების შესრულებისას იმ მაღალი სენსიტიურობის მქონე ადგილებში, რომლებიც გზშ-შია მითითებული. ვიზრაციის სპეციფიკური მონიტორინგი ხორციელდება სოფელ კობში მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიასა და ციხეზე. აღნიშნული მონიტორინგი გაგრძელდება იდენტიფიცირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისინი არ ექცვიან ზემოქმედების 	<p>საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურული რესურსები იდენტიფიცირებულია E.4.5 ნაწილში (მატერიალური კულტურული რესურსები(PCR)). ზემოქმედება მატერიალურ კულტურულ რესურსებზე, სასაფლაოებსა და სპეციფიურ ძეგლებზე (მაგ., წმ. გიორგის ჯვარი და ჯარისკაცის ძეგლი კობის მახლობლად)</p>

			<p>ქვეშ.</p> <ul style="list-style-type: none"> შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურა შემუშავებულია კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტისთვის და აღნიშნულ პროცედურებს ახორციელებს კონტრაქტორი. 	<p>განხილულია F.8.7 ნაწილში (მატერიალური კულტურული რესურსები) და F.7.5 ნაწილში (გრუნტის სანაყარო). კულტურული მემკვიდრეობის დამკვირვებელი სამუშაოებს ზედამხედველობას უწევს F.8.7 ნაწილის (მატერიალური კულტურული რესურსების) შესაბამისად. შემთხვევითი აღმოჩენები განხილულია E/ დანართში.</p>
<p>2. პროექტით გამოწვეული ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედება შინამეურნეობებზე</p>	<p>ქვეშეთის, ბეგონის პლატოს სოფლების, არახვეთის, ზაქათკარისა და მლეეთის მოსახლეობა</p>		<ul style="list-style-type: none"> ვიბრაცია: წინასამშენებლო კვლევები ჩატარდა ახალი გზიდან <50 მეტრში მდებარე ყველა საკუთრებაზე, მშენებლობის დროს ვიბრაციის პოტენციური ზემოქმედების გამოსავლენად. მიღებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და გაიცემა შესაბამისი კომპენსაციები. კონტრაქტორი მონიტორინგს 	<p>ვიბრაციის ზემოქმედება და მოთხოვნები წინასამშენებლო კვლევებისთვის მოცემულია F.8.6 ნაწილში (ვიბრაცია). ხმაურის ზემოქმედების მოდელირება და შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია F.8.5 ნაწილში (ხმაური).</p>

			<p>გაუწევს ვიბრაციას ადგილზე, განსაკუთრებით ისეთ სენსიტიურ ადგილებში, სადაც შენობები ცუდ მდგომარეობაშია.</p> <ul style="list-style-type: none"> ლოტი 1-ის კონტრაქტორმა ჩაატარა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სოფლებში - კობში, აღმასიანსა და წკერეში მდებარე ყველა სახლის წინასამშენებლო კვლევა. ვიბრაციის მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს სოფელ აღმასიანსა და კობში. საჩივრები ამ დრომდე არ შემოსულა. რაც შეეხება წკერეს, აქტივობები ჯერ არ დაწყებულა. რაც შეეხება ლოტ 2-ს, მიმდინარეობს ახალი გზიდან <50 მეტრში მდებარე სახლების წინასამშენებლო კვლევა. დაწყებული აქტივობები დასახლებული ტერიტორიებიდან მოშორებულია და ვიბრაციის საშიშროება არ არსებობს. ინჟინერმა მოამზადა სია კონტრაქტორისთვის, რომელიც უნდა იყოს შევსებული კონკრეტულ მონაკვეთზე სამუშაოების დაწყებამდე. სახლების წინასამშენებლო კვლევის ჩატარება სამშენებლო სამუშაოების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობაა. 	
--	--	--	--	--

			<ul style="list-style-type: none"> ხმაური: დამონტაჟდება ბარიერები პროექტის სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად. 	
3. პროექტის ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებსა და ბიომრავალფეროვნებაზე	<p>ქვეშეთისა და კობის მოსახლეობა.</p> <p>მწვანე ალტერნატივის წარმომადგენ</p>	<p>არ არის მოსალოდნელი რაიმე სახის ზემოქმედება ისეთ დაცულ ტერიტორიებზე, როგორცაა ყაზბეგის ეროვნული პარკი და ზურმუხტის ქსელის ტერიტორია. აღინიშნა შემდგომი კვლევის საჭიროება</p>	<ul style="list-style-type: none"> ჩატარდა ხუთი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (ლონისძიება 23, 24, 25, 26, 31) ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, 	<p>ცხოველებისა და ფრინველების მიგრაცია დეტალურად იქნა შესწავლილი E.2 ნაწილში (დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ანალიზი), მათ შორის</p>

	<p>ლები, SABUKO, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, NACRES, CENN.</p>	<p>ისეთ ფრინველთან დაკავშირებით, როგორცაა ფასკუნჯი, და ასევე ხეჭრელის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.</p> <p>გარემოზე პოტენციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები საპროექტო ტერიტორიაზე, ხადას ხეობის ჩათვლით, განხილული გზშ-ში.</p>	<p>პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა დასრულებული და დამტკიცებულია. • ორივე კონტრაქტორს დაქირავებული ჰყავს ეკოლოგიური ექსპერტები და ბიომრავალფეროვნების ექსპერტები. • პროექტი დაიქირავებს ეკოლოგიურ ექსპერტს და ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო ექსპერტს, რათა უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებული შემარბილებელი ღონისძიებებისა და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელება. • ორგანიზაციებთან და მთავრობასთან ჩართულობა პროექტის განხორციელების შემდეგ გაგრძელდება. 	<p>ზურმუხტის ქსელის, როგორც E.2.2 თავის (დაცული და აღსანიშნავი ტერიტორიები) ნაწილის; სპეციფიკური ზემოქმედება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული სახეობებისთვის განხორციელდა F.6.1 (ჰაბიტატი და ზოგადი ეკოლოგიური ზემოქმედება) და F.6.2 (მნიშვნელოვანი სახეობები) ნაწილების შესაბამისად.</p>
--	--	---	--	--

<p>5. პროექტის ზემოქმედება გზებზე და სხვა წვდომის საშუალებებზე პოტენციურად დაზარალებული თემებისთვის</p>	<p>ქვეშეთის, არახვეთის, ხადისა და წკერეს მოსახლეობა</p>	<p>აშენდება ახალი სამანქანე მისასვლელი გზები, გადასასვლელები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები - მოძრაობა არ შეფერხდება და საერთო წვდომა შენარჩუნდება ან გაუმჯობესდება თემებისთვის, მათ შორის პირუტყვის გადაადგილებისთვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> კონსულტაციების საფუძველზე, პროექტში დამატებულ იქნა მიწისქვეშა გადასასვლელები და შეიცვალა ბედონის მისასვლელი გზის მიმართულება, რათა თავიდან აცილებულიყო გზის გაყვანა სოფლის გავლით. წკერეში გვირაბის მონაკვეთი გაფართოვდება, რათა შენარჩუნდეს ფეხით მოსიარულეთა წვდომა სასაფლაოზე. 	<p>მისასვლელი მარშრუტები მოცემულია B.5.4 ნაწილში და მათი ზემოქმედება შეფასებულია F.7.9 ნაწილში (მისასვლელი და მისასვლელი გზები). B.4.3 ნაწილი მოიცავს მიწისქვეშა გადასასვლელებს.</p>
<p>6. პროექტის ზემოქმედება კომუნიკაციებზე</p>	<p>კობის, ალმასიანის, ბედონის პლატოს სოფლების, არახვეთის, ქვეშეთის მოსახლეობა; საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელი.</p>	<p>კობში არსებული გაზსადენი არ იქნება გადატანილი.</p>		<p>საპროექტო ტერიტორიაზე კომუნიკაციების მართვა განხორციელდება F.7.2 ნაწილით (საზოგადიებრივი მოხმარების ინფრასტრუქტურა) განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად.</p>
<p>7. ინფორმაციის ნაკლებობა პროექტის ალტერნატივების განხილვის შესახებ</p>	<p>არახვეთის, ქვეშეთის, მლეთის მოსახლეობა; მწვანე ალტერნატივის და GeoGraphic-ის, SABUKO-ს, CENN-ის</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი ეთანხმება იმ აზრს, რომ საჯარო კონსულტაციები უნდა ჩატარებულიყო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და პროექტირების ეტაპებზე. მითითებული ცხრა ალტერნატივა შეფასდა</p>	<ul style="list-style-type: none"> მე-9 კონსულტაციის შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა წარმოადგინა უფრო დეტალური ინფორმაცია მარშრუტის შერჩევისა და ალტერნატივების შესახებ. განმტკიცდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც მოიცავს 	<p>ალტერნატივები დეტალურადაა განხილული C ნაწილში (ალტერნატივები).</p>

	<p>წარმომადგენლები და ინდივიდუალური აქტივისტი</p>	<p>დეტალურად და მეტი ინფორმაცია მოწოდებული იქნება გზშ-ს სკოპინგის საბოლოო ანგარიშსა და საბოლოო გზშ-ში. საპროექტო მარშრუტის გადაწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენენ გეოლოგიური პირობები და გეომეტრიული მრუდები. არსებული გზის გაუმჯობესება მოთხოვნების მიხედვით ჩაითვალა შეუძლებლად.</p>	<p>შემოთავაზებული საბოლოო მარშრუტის დასაბუთებასა და უფრო მეტ მონაცემებს, შეგროვებულს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო შეუძლებელი არსებული გზის გაუმჯობესება ან არსებული დერეფნის გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> • ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრა N44 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან, რათა წარმოედგინათ მათთვის დეტალური ინფორმაცია და გაეცათ პასუხები მარშრუტის შერჩევის ანალიზების შესახებ არსებულ კითხვებზე. გამოიკვეთა აშკარა მტკიცებულება იმის შესახებ, თუ რატომ გამორიცხა გეოლოგიურმა შეზღუდვებმა და რისკებმა ყველა ვარიანტი, გარდა ხადას ხეობისა. • საკონსულტაციო შეხვედრა N44-ის შემაჯამებლად, პროექტზე მომუშავე ჯგუფი ვალდებულია შეადგინოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოკლე მიმოხილვა, რათა მოხდეს შეფასების პროცესისა და 	
--	---	--	--	--

			დასკვნების განმარტება არატექნიკურ ენაზე.	
8. მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები	არახვეთის, ქვეშეთის, კობის, ბენიანის, ბედონის პლატოს სოფლების, წკერეს, მლეთის მოსახლეობა	საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ინდივიდუალურ შინამეურნეობებს შესთავაზა დახმარება რეგისტრირების პროცესში.	<ul style="list-style-type: none"> საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მიწის საკუთრების აღიარების კომისია ერთად მუშაობენ მოსახლეობასთან თითოეულ ისეთ შემთხვევაზე, სადაც მიწის რეგისტრირებასთან დაკავშირებით წარმოიშვა სირთულეები. შესაძლებელია თითოეული შემთხვევის ხელახალი წარდგენა და შემდგომი ანალიზი. 	მიწის საკუთრების რეგისტრაცია მოცემულია F.7.4 ნაწილში(მიწათსარგებლობა და ბუნებრივი რესურსები) <i>(მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა ამ საკითხს დეტალურად მოიცავს)</i>
9. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების კომპენსაციის საკითხის განმარტება	ქვეშეთის, წკერეს, ბენიანის, ბეგონის და არახვეთის მოსახლეობა	LARP პროცესი შექმნილია ამ პრობლემის მოსაგვარებლად და შეესაბამება ADB-ისა და EBRD-ის მითითებებს. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების შეფასება ხდება კერძო კონსულტაციების გზით.	<ul style="list-style-type: none"> ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს განემარტათ კომპენსაციის მიღების საკითხი, რომელიც განხორციელდება LARP-ის საშუალებით. ასევე, მათ მიიღეს ინფორმაცია შემდგომი ხელშეწყობის გზების შესახებ; საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მიწის საკუთრების აღიარების კომისია მუშაობენ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ იმ პირებთან, რომლებსაც არ აქვთ სრული დოკუმენტაცია, 	კომპენსაციის საკითხი მოცემულია F.7.4 ნაწილში (მიწათმოხმარება და ბუნებრივი რესურსები) <i>მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა ამ საკითხს დეტალურად მოიცავს</i>

			რათა შემდგომში ჰქონდეთ მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველი.	
10. პროექტის ზემოქმედება ეკოტურიზმზე ხადას ხეობაში	ადგილობრივი აქტივისტი, საქართველოს ეროვნული ფონდი, საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია, აღმოაჩინე საქართველო.	პროექტის ტურისტული კომპონენტი ხელს შეუწყობს ხადას ხეობის თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარებას, მაგალითად, ვიზიტორთა ახალი ცენტრის განვითარებას.	<ul style="list-style-type: none"> მოგვიანებით გაიმართა შვიდი ტურისტული საკონსულტაციო ღონისძიება საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან (ღონისძიება N34) და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან: CENN, SABUKO, WWF (36, 37, 38, 43) და დუშეთისა და ყაზბეგის მერებთან (ღონისძიება 26 და 27). ზოგადი შეთანხმებით, ხადას ხეობას აქვს ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რომელსაც პროექტი მხარს დაუჭერს. შედეგად, იგეგმება პროექტის ეკოტურიზმის კომპონენტის შემუშავება და მიმდინარეობს კონსულტაციები ამ მიმართულებით. 	ადგილობრივ საარსებო წყაროსთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია F.7.1 ნაწილში (ზემოქმედება ადგილობრივ ეკონომიკასა და საარსებო პირობებზე); Z დანართში მოცემულია ვიზიტორთა ცენტრის შემოთავაზებული კონცეფცია.
11. სამშენებლო ბანაკებით გამოწვეული ზემოქმედება	საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელი; ზემოქმედების ქვეშ	კონტრაქტორს აქვს უფლება, განსაზღვროს სამშენებლო ბანაკების განთავსების ადგილები. ბანაკებისა და დროებითი ობიექტების ადგილმდებარეობა	<ul style="list-style-type: none"> გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის თანახმად, სამშენებლო ბანაკები უნდა განთავსდეს >500 მ-ის მანძილზე საცხოვრებელი ადგილებიდან. 	სამშენებლო ბანაკის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მართვის და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ზომები მოცემულია F.7.8 ნაწილში – სამშენებლო ბანაკები, ასფალტის დანადგარები,

	მოქცეული თემები	შეთანხმებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათი მხრიდან წინააღმდეგობა არ არსებობს.		ბეტონის შემრევი დანადგარები და დროებითი ნაგებობები.
12. პროექტში დასაქმების შესაძლებლობები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისთვის	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემები	ადგილობრივ მოსახლეობას მიენიჭება უპირატესობა პროექტში დასაქმებისთვის.	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნები მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში, რომლის თანახმადაც, მუშახელის დაახლოებით 70% იქნება ადგილობრივი მოსახლეობა. • ორივე კონტრაქტორის სოციალური სპეციალისტები აწარმოებენ იმ პირთა ჟურნალს, რომლებიც გამოხატავენ პროექტში დასაქმების სურვილს. • ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია პროექტის Facebook გვერდსა და ვებგვერდებზე. • ორივე კონტრაქტორმა დაამონტაჟა შეტყობინებების დაფები ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თითოეულ სოფელში. ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია აქაც განთავსდება. 	ადგილობრივი მუშახელის გამოყენების პირობები მოცემულია F.8.2 თავში – მომუშავეთა უფლებები და შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება (OHS).
13. საგზაო უსაფრთხოება სკოლის მოსწავლეებისთვის	ბეგონის პლატოს სოფლების მოსახლეობა	არ არის ინფორმაცია (განხილვა ფოკუს-ჯგუფებში)	<ul style="list-style-type: none"> • გზის პროექტი მოიცავს გვირაბის მონაკვეთს ბეგონში, რაც ამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვებისა და საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ რისკებს. 	გზში-ში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები კონტრაქტორისთვის, რათა საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში ჩაატაროს

			<ul style="list-style-type: none"> • კონტრაქტორი, საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში, ჩაატარებს საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების სესიებს. • 2022 წლის 10 ივნისს ინჟინერმა და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ჩაატარეს საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტრენინგი ქვეშეთში მდებარე სკოლის მოსწავლეებისთვის. ტრენინგზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მობილური აღჭურვილობის მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, უსაფრთხოების ნიშნების ფერადი კოდირებისა და საგზაო უსაფრთხოების შესახებ. 	საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების სესიები - დანართი A- EMP.
14. საპროექტო სამუშაოები გაზრდის მეწყერის წარმოქმნის რისკებს	სოფელ როსტიანის მოსახლეობა	სიტუაციის შესასწავლად მოწვეული იქნება დამოუკიდებელი ექსპერტი.	ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები სოფელს 2021 წლის აპრილში ესტუმრნენ და 2021 წლის ივნისის თვისთვის წარმოადგინეს დასკვნა, რომ მშენებლობის მეთოდისა და სახლის კონსტრუქციული მდგომარეობის გათვალისწინებით, მსუბუქმა გეოდინამიკურმა პროცესებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი დაზიანება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მანძილი სახლებსა და N5 საპროექტო ხიდს შორის არის 171მ, სახლების ცუდი მდგომარეობის	

			<p>გათვალისწინებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოხატა კეთილი ნება, რომ სახლები შეეყვანა LARP-ში.</p> <p>49. მას შემდეგ რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა სოფელ როსტიანის მცხოვრებლებთან. თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობას შორის კონსენსუსი არ იქნა მიღწეული, სურთ თუ არა LARP-ში ჩართვა. ისინი ასევე უკმაყოფილონი არიან შემოთავაზებული კომპენსაციის ოდენობით და მას დაბალ ოდენობად მიიჩნევენ. ასევე უკმაყოფილოები არიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნით, რომ სახლების გამოსწიდვის შემდეგ მოხდეს მათი დემონტაჟი.</p> <p>50. ამჟამად საავტომობილო გზების დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის პროცესში. თავის მხრივ, კონტრაქტორმა განაახლა ვიბრაციის მართვის გეგმა და მოიცავს სოფლის სახლებზე ხიმინჯის მოწყობის სამუშაოების შედეგად გამოწვეული ვიბრაციის უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს. კერძოდ, კონტრაქტორი სამუშაოების დაწყებამდე გეგმავს სახლების წინასამშენებლო კვლევას და ვიბრაციის საცდელ</p>	
--	--	--	---	--

			<p>შემოწმებას. ვიზრაციის საცდელი ტესტის შედეგების საფუძველზე დადგინდება სახლების სტრუქტურულ მდგომარეობაზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და შესაბამისად დაიგეგმება შემდგომი შემარბილებელი ღონისძიებები.</p> <p>51. 2022 წლის 27 აპრილს ADB-ის გუნდის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები და ინჟინერი შეხვდნენ სოფელ სვიანა-როსტიანის მცხოვრებლებს.</p>	
			<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მათ განუმარტა, რომ პროექტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის შენარჩუნება მისი კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებიდან გამომდინარე და შესთავაზა შემდეგი:</p> <p>სახლების გამოსყიდვა რეგისტრირებული მიწების ჩათვლით, რის შემდეგაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი კერძო ინვესტორს მოიწვევს შენობების აღდგენის მიზნით.</p> <ul style="list-style-type: none"> • ობიექტის პირვანდელი იერსახის და კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების შენარჩუნებულ შენობების რესტავრაცია. ამ სამუშაოების განსახორციელებლად ორი ვარიანტი 	

			<p>არსებობს. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ან პირდაპირ გადაუხდის მფლობელს და მესაკუთრე თავად უზრუნველყოფს აღდგენითი სამუშაოების შესრულებას ან საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოიწვევს კვალიფიციურ კომპანიას აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად.</p>	
<p>15. მტვერი და სიჩქარის გადაჭარბება N2 მისასვლელ გზაზე</p>	<p>სოფელ ბედონისა და სეთურების მოსახლეობა</p>	<p>ადგილობრივ მოსახლეობას განუმარტეს, რომ კონტრაქტორი გამოიყენებს ადმინისტრაციული კონტროლის ზომებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> • მძღოლებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟები (Tool Box Talks). • კონტრაქტორმა გზის მორწყვის განრიგი შეცვალა. კიდევ ერთი მანქანა დაემატება. 	

9. საჩივრების განხილვის მექანიზმი

9.1. მიზანი და მასშტაბი

საჩივრების განხილვის მექანიზმი არის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგინონ უკუკავშირი, უკმაყოფილება და საჩივრები პროექტთან დაკავშირებით. საჩივრების განხილვის მექანიზმი მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე რეაგირების დემონსტრირებას და დაინტერესებულ მხარეებთან სანდო და კონსტრუქციული ურთიერთობის ხელშეწყობას შესაბამისი შემარბილებელი სტრატეგიების შემუშავებით.

საჩივრების განხილვის მექანიზმის მიზნებია:

- პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის საჩივრების წარმოსადგენად შესაბამისი საშუალებების უზრუნველყოფა მათი კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით (სამშენებლო მოედნის მომზადების ეტაპიდან დაწყებული ექსპლოატაციიდან გასვლის ეტაპამდე);
- უზრუნველყოს, რომ საჩივრების განხილვა მოხდეს კონფიდენციალურად და არ იქნას გახმოვანებული პროექტს მიღმა;
- დამყარდეს თემებთან გამჭვირვალე და ურთიერთპატივისცემის მქონე ურთიერთობა;
- უზრუნველყოს გამოსასწორებელი ღონისძიებების იდენტიფიცირება და მათი განხორციელება;
- გადამოწმდეს, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები კმაყოფილი არიან განხორციელებული გამოსასწორებელი ღონისძიებებით;
- თავიდან იქნას აცილებული სასამართლო პროცესების საჭიროება; თუმცა საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელს არ უშლის, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა მიმართონ საქართველოს სასამართლო სისტემას.

საჩივრების განხილვის მექანიზმი იმოქმედებს პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. აღნიშნული მექანიზმი ეხება გარე საჩივრებს, რომლებიც მოდის ყველა დაინტერესებული მხარისგან; ის არ ვრცელდება შემდეგ საჩივრებზე:

- პროექტზე პირდაპირ ან ირიბად დასაქმებულ მუშაკთაგან წარმოდგენილი საჩივრები: მუშაკთა საჩივრების განხილვა და მართვა ხორციელდება ანალოგიური პროცედურების მშვევობით, რომელიც სპეციალურად შემუშავდება პროექტისთვის.

9.2. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საჩივრებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების წესს. ეს არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესებსა და პროცედურებს.

კანონის თანახმად, ოფიციალურად შემოტანილი საჩივრების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს საჩივრები, ჩართოს მომჩივანი საჩივრის განხილვისა და გადაჭრის პროცესში და მიიღოს ამასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება.

181-ე მუხლი განსაზღვრავს საჩივრის შინაარსის და მისი შემოტანის ფორმებს. კერძოდ, საჩივრის პაკეტში უნდა შედიოდეს: ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი; ბ) მომჩივანის სახელი და გვარი, მისამართი და საკონტაქტო დეტალები; გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება; დ) იმ ადმინისტრაციული აქტის ან გადაწყვეტილების დასახელება, რომელიც წარმოადგენს საჩივრის საგანს; ე) საჩივრის შინაარსი; ვ) გარემოებები და ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება საჩივარი; ზ) დანართების ჩამონათვალი.

194-ე და 198-ე მუხლები განსაზღვრავს მომჩივანის საჩივრის განხილვის პროცესში ჩართვის წესებსა და პროცედურებს.

202-ე მუხლის თანახმად, საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანის სტანდარტული ვადა არის 1 თვე.

9.3. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი

დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ საჩივრის და/ან მოთხოვნის შეტანის უფლება პროექტის რომელიმე ასპექტთან, მათ შორის, მიწის შეძენასა და განსახლებასთან, დაკავშირებით, და შეეძლება ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების, მეთოდისა თუ აქტივობის გასაჩივრების უფლება. საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროექტის ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებული საჩივრის დროულად და ეფექტურ გადაჭრას.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის მიზნებია:

- ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც დამაკმაყოფილებელი იქნება როგორც პროექტისთვის, ისე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, და ნებისმიერი საჩივრის გადაჭრა ადგილობრივ დონეზე;
- გზშ-ისა და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ კი, ხანგრძლივი სასამართლო პროცესების შემცირება და პროექტის

განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება;

- განვითარების პროცესის ხელშეწყობა პროექტის დონეზე და, ამავედროულად გამჭვირვალობის შენარჩუნება; ასევე, ანგარიშვალდებულება ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების წინაშე.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა სრული ინფორმაცია მიიღეს თავიანთი უფლებების და საჩივრების განხილვის პროცედურების შესახებ, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, გზმ-ის და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის ფარგლებში გამართული კონსულტაციების და კვლევების დროს. ისინი კვლავ მიიღებენ ინფორმაციას კომპენსაციის დროს და საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე (კონტრაქტორისგან).

უმჯობესია მოხდეს საჩივრების თავიდან აცილება, ვიდრე განხილვის პროცესზე გადასვლა. ამის მიღწევა შესაძლებელია LARP-ისა და EIA-ს ზედმიწევნით შემუშავებითა და განხორციელებით, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების სრული ჩართულობით და მათთან კონსულტაციების მეშვეობით, და აგრეთვე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს, განმახორციელებელ უწყებას და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ფართომასშტაბიანი კომუნიკაციის და კოორდინაციის უზრუნველყოფით მშენებლობის ეტაპის განმავლობაში (მათ შორის ყოველთვიური შეხვედრებით კონტრაქტორსა და ადგილობრივ თემებს შორის). თუ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია ამ ძირითადი საშუალებებით, მაშინ საჩივრების განხილვა მოხდება ქვემოთ მოცემული პროცესის დახმარებით:

- საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) სოფლის ან მუნიციპალიტეტის დონეზე
- საჩივრების განხილვის კომისია (GRCN) ეროვნულ დონეზე - საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლებისა და გარემოს დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) და საჩივრების განხილვის კომისია (GRCN) შეიქმნება პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში საჩივრების გადაჭრის მიზნით და იგი იქნება საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის ნაწილი.

საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) არის არაოფიციალური, პროექტისთვის სპეციალურად შექმნილი საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც შეიქმნა საჩივრების განსახილველად პირველ ეტაპზე. ეს არაოფიციალური ორგანო შეიქმნა თემის დონეზე თითოეულ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მუნიციპალიტეტში (სოფლის/თემის ორგანო). საჩივრების განხილვის კომიტეტი შედგება მუნიციპალური მიწის შესყიდვისა და განსახლების გუნდების და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისგან. მიწის შესყიდვისა და განსახლების მუნიციპალურ გუნდში საჩივრების განხილვის კომიტეტის შექმნას კოორდინაციას უწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი. ის ვალდებულია უზრუნველყოს საჩივრების განხილვის კომიტეტის საქმიანობის კოორდინაცია და შეხვედრების ორგანიზება. გარდა ამისა, საჩივრების განხილვის კომიტეტში შედიან სოფელში მერის წარმომადგენელი ან მისი წარმომადგენელი, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების წარმომადგენლები, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქალები და შესაბამისი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა მოხდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების მოსაზრებების გათვალისწინება და უზრუნველყოფილი იქნას გადაწყვეტილების მიღება მონაწილეობითი პროცესის საფუძველზე.

საჩივრების განხილვის კომისია (GRCN) შეიქმნა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც მუდმივი და მოქმედი არაფორმალური სტრუქტურა, რომელშიც ჩართულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყველა სამსახურის თანამშრომელი მიწების შესყიდვისა და განსახლებისა და აგრეთვე საჩივრების გადაჭრის საკითხებზე მუშაობის მიზნით. მასში შედიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის მენეჯმენტის ზედა რგოლი, გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურები, იურიდიული და სხვა სამსახურები (რაც დამოკიდებულია ზემოქმედების შეფასების სპეციფიურ სტრუქტურაზე). საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) ფუნქციონირებს საჩივრების გადაჭრის პროცესის მეორე საფეხურზე. ბრძანებაში ნათქვამია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტში შეიძლება, როგორც კომიტეტის წევრები, შეყვანილი იქნენ ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების წარმომადგენლები და ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირები.

საჩივრების განხილვის კომიტეტი პროექტისთვის ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტების დონეზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) განთავსდება კობში.

ცხრილი 8: საჩივრების განხილვის კომიტეტი (GRCE) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში

სახელი, გარი	თანამდებობა	ტელ. ნომერი/ელ. ფოსტის მისამართი	სტატუსი
ნანა ბრეგაძე	საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს წარმომადგენელი	593333373	წევრი
გივი ჩქარეული	მერის წარმომადგენელი სოფელ კობში	598240334	წევრი მდივანი
კახა ჩოფიკაშვილი	სოფელ კობის წარმომადგენელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოში	595555918	წევრი
ფატიმა კობლოვა	კობის მოსახლეობის წარმომადგენელი	599567894	წევრი
თამარ ჯავახი	CSC-ის	599613196	წევრი

	სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი		
ნიკოლოზ სოფაძე	CSC-ის გარემოსდაცვითი სპეციალისტი	579728871	წევრი
110	თემთან შეხვედრა	სოფ. ჯალმიანი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ჯალმიანი 24.04.24	FAO ADB	3 ქალი 3 მამაკაცი	ტრენინგი კარტოფილის წარმოებაზე	• ტრენინგი კარტოფილის წარმოებაზე
111	თემთან შეხვედრა	სოფ. ბედონი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ბედონი 25.04.24	FAO ADB	8 ქალი	შებოლილი ყველის ტექნოლოგიის შესახებ ტრენინგი სოფლების ქვეშეთისა და არახვეთის ფერმერთა ჯგუფისთვის	• ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილებს, მათ შორის მონაწილეების მიერ შებოლილი ყველის მომზადებასა და ტესტირებას.
112	თემთან შეხვედრა	სოფლები ჯალმიანის, კაიშაურნის და ზაქათქარის მოსახლეობა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	კაიშაურები 13.05.24	კონტრაქტორი	12 მამრები	წინასამშენებლო თემის შეხვედრები გუდაურის მისასვლელი გზის პროექტის (ARP) ფარგლებში	• გუდაურის მისასვლელი გზის მშენებლობით დაზიანებული წყალმომარაგების მილსადენების გადატანის დეტალების განხილვა. სოფლის მოსახლეობამ მოითხოვა ერთი დიდი წყლის შემგროვებელი ავზის მოწყობა (არსებული ორი მცირე ავზის ნაცვლად) და მონაწილეობა მიიღო მილსადენების გადატანის ტექნიკური დეტალების განხილვაში.

113	თემთან შეხვედრა	სოფ. ჯალმიანი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ჯალმიანის თემის შენობა 31.05.24	კონტრაქტორი ინჟინერი ADB CLO	2 ქალი 6 მამაკაცი	წინასამშენებლო თემის შეხვედრები გუდაურის მისასვლელი გზის პროექტის (ARP) ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> საპროექტო გზის მარშრუტი კონტრაქტორის აღჭურვილობის მოძრაობის შესაძლო ზემოქმედება. SEMP სტატუსი პროექტის GRM-ის დანერგვა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად.
114	თემთან შეხვედრა	სოფლები სეთურები და ზაქათქარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ჯალმიანის თემის შენობა 31.05.24	კონტრაქტორი ინჟინერი ADB CLO	14 კაცი	წინასამშენებლო თემის შეხვედრები გუდაურის მისასვლელი გზის პროექტის (ARP) ფარგლებში	<ul style="list-style-type: none"> საპროექტო გზის მარშრუტი კონტრაქტორის აღჭურვილობის მოძრაობის შესაძლო ზემოქმედება. SEMP სტატუსი პროექტის GRM-ის დანერგვა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად.
115	პირისპირ შეხვედრები	სოფელი ბენიან-ბეგონი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფელი ბენიან-ბეგონი 09.07.24	სგდ ინჟინერი ADB CLO	2 მამაკაცი	შეხვედრა ჩატარდა ფუტკრების გაუზინარებასთან დაკავშირებული ორი საჩივრის დახურვის მიზნით	შეთანხმება მიღწეულ იქნა ფუტკრების გადაცემის პირობებზე
116	პირისპირ შეხვედრები	სოფელი ზაქათქარი, ჯალმიანი და სეთურები	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	შეხვედრა სამშენებლო მოედანზე 17.07.24	ინჟინერი	4 მამაკაცი	შეხვედრა ჩატარდა მიწის ნაკვეთებთან მისასვლელ გზებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.	მიწის მესაკუთრეებს ადგილზე მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდებოდა მათი ნაკვეთების მისასვლელი გზების უზრუნველყოფა. შეხვედრა გაიმართა სამშენებლო მოედანზე, სადაც კონტრაქტორის წარმომადგენლის თანდასწრებით დაითვალისწინეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის პრობლემური კონკრეტული მონაკვეთები.

117	პირისპირ შეხვედრები	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ინჟინრის ბანაკი არახვეთში 31.07.24	ინჟინერი კონტრაქტორი	3 მამაკაცი	შეხვედრა ჩატარდა დამატებითი საველე გადასასვლელებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.	დელობრივი მოსახლეობა ითხოვს დამატებითი საველე გასასვლელების, ავტობუსის გაჩერებებისა და საფენძავლო ბილიკების მოწყობას.
118	თემთან შეხვედრა	სოფლები კაიშაურნი, ჯალმიანი, სეთურები და ზაქათქარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ჯალმიანი 07.08.24	FAO ADB CLO	7 ქალი	შეზოლილი ყველის ტექნოლოგიის შესახებ ტრენინგი ფერმერთა ჯგუფისთვის	ტრენინგი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილებს, მათ შორის მონაწილეების მიერ შეზოლილი ყველის მომზადებასა და დაგემოვნებას. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ ყველის წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა
119	თემთან შეხვედრა	სოფელი ბენიან-ბეგონი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფელი ბენიან-ბეგონი 09.07.24	სგდ ინჟინერი ADB CLO	2 მამაკაცი	შეხვედრა ჩატარდა ფუტკრების გაუჩინარებასთან დაკავშირებული ორი საჩივრის დახურვის მიზნით	შეთანხმება მიღწეულ იქნა ფუტკრების გადაცემის პირობებზე
120	თემთან შეხვედრა	სოფელი ბენიან-ბეგონი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფელი ბენიან-ბეგონი 08.08.24	სგდ ინჟინერი	4 კაცი და 2 ქალი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრა	მათი ინფორმირება მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

121	თემთან შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი (სამშენებლო მოედანზე) 12.08.24	ინჟინერი კონტრაქტორი	1 კაცი 1 ქალი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	სამშენებლო საქმიანობის გამო წყალმომარაგების შეფერხებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა
122	თემთან შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი (სამშენებლო მოედანზე) 20.08.24	ინჟინერი კონტრაქტორი	4 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	სამშ. მოედანზე შეხვედრა ჩატარდა 1+700 კმ მონაკვეთთან ახლოს მდებარე საველე გასასვლელის ადგილმდებარეობის შესათანხმებლად.
123	თემთან შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი (სამშენებლო მოედანზე) 17.09.24	ინჟინერი კონტრაქტორი	5 მამაკაცი 4 ქალი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	ადგილზე შეხვედრა კანალიზაციის მილების მონტაჟთან დაკავშირებული საკითხების შესათანხმებლად. ადგილობრივებთან ერთად განხილული იქნა წყლის შემკრები ჭების ადგილმდებარეობა.
124	თემთან შეხვედრა	სოფ. ჯაღმიანი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ჯაღმიანი 10.09.24	ინჟინერი კონტრაქტორი ADB CLO	10 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	წყალმომარაგების მილის გადატანასთან და წყლის შემკრები რეზერვუარების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა
125	თემთან შეხვედრა	სოფ. ჯაღმიანი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ჯაღმიანის სკოლა 18.09.24	FAO ADB CLO	3 მამაკაცი 1 ქალი	ფერმერთა სკოლის მონაწილეებთან შეხვედრა ტრენინგების სესიების შეფასების მიზნით.	ამ შეხვედრების მიზანი იყო ჩატარებული ტრენინგებიდან მიღებული ცოდნის შეფასება, შინაარსისა და ჩატარების ფორმის შესახებ უკუკავშირის შეგროვება და გაუმჯობესების საჭირო მიმართულებების იდენტიფიცირება.

126	თემთან შეხვედრა	სოფლები ბენიან-ბეგონი, ბედონი და ქვეშეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ქვეშეთის ადმინისტრაციული შენობა 19.09.24	FAO ADB CLO	1 მამაკაცი, 7 ქალი	ფერმერთა სკოლის მონაწილეებთან შეხვედრა ტრენინგების შესახებ შეფასების მიზნით.	ამ შეხვედრების მიზანი იყო ჩატარებული ტრენინგებიდან მიღებული ცოდნის შეფასება, შინაარსისა და ჩატარების ფორმის შესახებ უკუკავშირის შეგროვება და გაუმჯობესების საჭირო მიმართულებების იდენტიფიცირება.
127	თემთან შეხვედრა	სოფელი ზაქათქარი, ჯალმიანი და კაიშაურნი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	გუდაურის მისასვლელი გზა 01.10.24	კონტრაქტორი ADB CLO	4 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზისა და წყალმომარაგების მილის ლიად დარჩენილ მონაკვეთებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.
128	თემთან შეხვედრა	სოფლები ქვეშეთი, არახვეთი, ბედონი და ხადას ხეობა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ქვეშეთის სკოლა 11.11.24	სგდ ინჟინერი	33 მამაკაცი 47 ქალი	საგზაო უსაფრთხოების თემაზე ჩატარდა ტრენინგების სერია.	ტრენინგი მოიცავდა საგზაო უსაფრთხოების შესახებ დეტალურ პროზენტაციას, ფილმის „წუცა და ლუკას საგზაო წესები“ ჩვენებას და ინტერაქტიულ დემონსტრაციებს სიმულაციური ჩაფხუტებისა და „დამცავი სათვალეების“ გამოყენებით. მოსწავლეებმა ასევე განიხილეს ადგილობრივი საგზაო უსაფრთხოების გამოწვევები და აქტიურად მონაწილეობდნენ კითხვა-პასუხის სესიაში. ყოველი სესიის დასასრულს, მონაწილეებს გადაეცათ საგანმანათლებლო მასალები, მათ შორის საინფორმაციო ბუკლეტები, ამრეკლავი ელემენტები და ორი ტიპის პოსტერი, რომლებიც ასახავს საგზაო მოძრაობის წესებს როგორც დღის, ასევე ღამის ხილვადობისთვის.

129	თემთან შეხვედრა	სოფლები სეთურები, ჯალმიანი, კაიშაურები, ზაქათკარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	გუდაურის სკოლა 12.11.24	სგდ ინჟინერი	39 მამაკაცი 28 ქალი	საგზაო უსაფრთხოების თემაზე ჩატარდა ტრენინგების სერია.	ტრენინგი მოიცავდა საგზაო უსაფრთხოების შესახებ დეტალურ პრეზენტაციას, ფილმის „ნუცა და ლუკას საგზაო წესები“ ჩვენებას და ინტერაქტიულ დემონსტრაციებს სიმულაციური ჩაფხუტებისა და „დამცავი სათვალეების“ გამოყენებით. მოსწავლეებმა ასევე განიხილეს ადგილობრივი საგზაო უსაფრთხოების გამოწვევები და აქტიურად მონაწილეობდნენ კითხვა-პასუხის სესიაში. ყოველი სესიის დასასრულს, მონაწილეებს გადაეცათ საგანმანათლებლო მასალები, მათ შორის საინფორმაციო ბუკლეტები, ამრეკლავი ელემენტები და ორი ტიპის პოსტერი, რომლებიც ასახავს საგზაო მომრაობის წესებს როგორც დღის, ასევე ღამის ხილვადობისთვის.
130	თემთან შეხვედრა	სოფელი ზაქათკარი, ჯალმიანი და კაიშაურნი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	გუდაურის მისასვლელი გზა 13.11.24	სგდ ინჟინერი	4 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიწის ნაკვეთებთან მისასვლელ გზებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.
131	თემთან შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	ინჟინერის შეხვედრების ოთახი არახვეთში	ინჟინერი სგდ	1 მამაკაცი 9 ქალი	საგზაო უსაფრთხოების თემაზე ჩატარდა ტრენინგების სერია.	ტრენინგი მოიცავდა საგზაო უსაფრთხოების შესახებ დეტალურ პრეზენტაციას, ფილმის „ნუცა და ლუკას საგზაო წესები“ ჩვენებას და ინტერაქტიულ დემონსტრაციებს სიმულაციური ჩაფხუტებისა და „დამცავი სათვალეების“ გამოყენებით. მოსწავლეებმა ასევე განიხილეს ადგილობრივი საგზაო უსაფრთხოების გამოწვევები და აქტიურად

								მონაწილეობდნენ კითხვა-პასუხის სესიაში. ყოველი სესიის დასასრულს, მონაწილეებს გადაეცათ საგანმანათლებლო მასალები, მათ შორის საინფორმაციო ბუკლეტები, ამრეკლავი ელემენტები და ორი ტიპის პოსტერი, რომლებიც ასახავს საგზაო მოძრაობის წესებს როგორც დღის, ასევე ღამის ხილვადობისთვის.
132	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 20.11.24	ინჟინერი კონტრაქტორი ADB CLO	1 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მისი მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზისა და მის ნაკვეთში არასწორად განთავსებული ელექტრო ბოძების გადატანასთან დაკავშირებული საკითხები.
133	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 03.12.24	ინჟინერი ADB CLO	1 ქალი 3 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მისი სახლზე ზემოქმედებასა და დროებით გადასახლებასთან დაკავშირებული საკითხები.
134	პირისპირ შეხვედრა	სოფ. ზაქათკარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ზაქათკარის სამშენებლო ბანაკი 10.12.24	ინჟინერი ADB CLO	3 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზების საკითხების განხილვა

135	თემთან შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 26.03.25	ინჟინერი სგდ კონტრაქტორი	5 მამაკაცი	ახალი მიწისქვეშა გასასვლელის პროექტის წარდგენა	<ul style="list-style-type: none"> კმ1+700-ზე მოსაწყობი ახალი მიწისქვეშა გასასვლელის პროექტის წარდგენა საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების სესია
135	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 02.04.25	ინჟინერი კონტრაქტორი	2 ქალი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	1+700 კმ მონაკვეთთან მდებარე სახლზე ბზარების მონიტორინგი
136	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 06.05.25	ინჟინერი სგდ კონტრაქტორი	3 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიწის ნაკვეთებთან მისასვლელ გზასთან დაკავშირებული საკითხები
137	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 02.06.25	ინჟინერი სგდ კონტრაქტორი	5 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	გზის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთებსა და ავტოსადგომამდე მისასვლელ გზასთან დაკავშირებული საკითხები
138	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არაზვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არაზვეთი 04.06.25	ინჟინერი კონტრაქტორი	1 ქალი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	1+700 კმ მონაკვეთთან მდებარე სახლზე ბზარების მონიტორინგი

139	თემთან შეხვედრა	სოფ. ზაქათკარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	კონტრაქტორის ბანაკი არახვეთში 24.06.2025	ინჟინერი კონტრაქტორი	7 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზების შესახებ
140	თემთან შეხვედრა	სოფ. ზაქათკარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ზაქათკარი 09.07.25	Contractor	4 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება გაზსადენის მილის გადატანის სამუშაოების შესახებ.
141	თემთან შეხვედრა	სოფ. ზაქათკარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	კონტრაქტორის ბანაკი არახვეთში 24.07.2025	ინჟინერი კონტრაქტორი	5 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	<ul style="list-style-type: none"> • მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზების შესახებ • შიდა გზების გაუმჯობესება.
142	თემთან შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი 27.08.25	ინჟინერი კონტრაქტორი	2 ქალი 8 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიმდინარე სამშენებლო საქმიანობებთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხები.
143	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი 29.08.25	ინჟინერი კონტრაქტორი ADB CLO	2 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	სახლთან მიმდებარედ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები.

144	თემთან შეხვედრა	სოფ. ჯალმიანი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ჯალმიანი 27.08.25	ინჟინერი ADB CLO	4 ქალი 8 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიმდინარე სამშენებლო საქმიანობებთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხები.
145	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი 29.08.25	ინჟინერი კონტრაქტორი ADB CLO ADB სოც. საკითხების სპეციალიტი სგდ	2 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	სახლთან მიმდებარედ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები.
146	თემთან შეხვედრა	სოფ. ჯალმიანი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. ჯალმიანი 17.11.25	ADB CLO სგდ ინჟინერი	8 ქალი 20 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	მიმდინარე სამშენებლო საქმიანობებთან დაკავშირებული გადაუჭრელი საკითხები.
147	პირისპირ შეხვედრა	სოფ. არახვეთი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემი	სოფ. არახვეთი 25.11.25	ინჟინერი კონტრაქტორი ADB CLO	1 მამაკაცი	მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები	სახლამდე მისასვლელი გზის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

დანართი C - დაინტერესებულ
მხარეთა ჩართულობისთვის
გამოსაყენებელი მეთოდების
მიმოხილვა

წინამდებარე დანართში აღწერილია მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესში და განსაზღვრავს, თუ როგორ იქნება გამოყენებული ისინი პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თითოეული აქტივობა მიზნად ისახავს ჩართულობასთან დაკავშირებული კონკრეტული მიზნების მიღწევას და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფის ჩართვას, რაც წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვალდებულებას. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინამდებარე გეგმის 7.2 ნაწილში აღწერილია თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს აქტივობები პროექტის სხვადასხვა ეტაპზე.

სასურველია, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები მოიცავდნენ შემდეგს:

- 1) **ღია საჯარო შეხვედრები ყველა დაინტერესებული მხარისთვის:** ეს აქტივობა იძლევა მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართვის და მათთან კავშირის დამყარების საშუალებას. საჯარო შეხვედრის ინტერაქტიული მიდგომის საშუალებით, დაინტერესებული მხარეები წამოჭრიან პრობლემებსა და კითხვებს, რომლებსაც უშუალოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან განიხილავენ და შეხვედრის განმავლობაში მიიღებენ შესაძლო პასუხებს. თუმცა საჯარო შეხვედრებისას შეიძლება წარმოიქმნან დომინანტი ჯგუფები და გაჩნდეს რისკი იმისა, რომ განხილული იქნება რეგულარულად განხილული საკითხები. გარდა ამისა, არის რისკი, რომ მონაწილეობას მიიღებენ ერთი და იმავე დაინტერესებული პირები ან დროთა განმავლობაში შემცირდება დამსწრეთა რაოდენობა. ასეთ შემთხვევებში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი განიხილავს განსხვავებული აქტივობების განხორციელებას.

პროექტის გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით, შეხვედრების ჩატარება საჭირო გახდება სხვადასხვა ადგილებში, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების დასწრებასა და მონაწილეობას. ასეთ ადგილებად განიხილება არახვეთი, ქვეშეთი, კობი, ბედონი/წკერე, სვიანა-როსტიანი/ გომუნი/ ბენანი და ზაქათკარი. თითოეული შეხვედრისთვის უნდა დადგინდეს ყველაზე მოსახერხებელი ადგილი შეხვედრის მიზნებიდან გამომდინარე და მონაწილე დაინტერესებული მხარეების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ორგანიზება უნდა გაუწიოს ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ტრანსპორტირებას შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით. საჯარო შეხვედრების შესახებ განცხადებები გამოქვეყნდება შეხვედრამდე, სულ მცირე, ორი კვირით ადრე. შეხვედრის დეტალები განთავსდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე (<http://www.georoad.ge/?lang=geo>). გარდა ამისა, ბროშურები ან პლაკატები დაურიგდებათ თემის წარმომადგენლებს და ხელმისაწვდომი იქნება ისეთ კონკრეტულ ადგილებში, როგორცაა თემის ცენტრი. საავტომობილო გზების დეპარტამენტს ექნება უშუალო კავშირი თემის წარმომადგენლებთან და მიაწვდის მათ ინფორმაციას შეხვედრის შესახებ.

შეხვედრას თავმჯდომარეობას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი. შეხვედრას, ასევე, დაესწრებიან კონტრაქტორები. შესაძლებლობის შემთხვევაში, შეხვედრისას ზეპირად მიწოდებული ინფორმაცია, ასევე, წერილობითაც უნდა იქნეს გავრცელებული საინფორმაციო ფურცლის ან ბროშურის სახით. დაინტერესებულ მხარეთა დასწრება აღირიცხება სპეციალურ ფორმაში შეხვედრის მსვლელობისას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია სპეციალურ ფორმაში და შეაგროვოს შეხვედრასთან დაკავშირებული მასალები ერთ დოკუმენტად.

საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც უნდა ჩატარდეს, როგორც სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ნაწილი, ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობის, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოთხოვნების დაცვით, როგორც ეს აღწერილია მე-3 ნაწილში.

საჯარო შეხვედრები გზშ-ს ანგარიშის განხილვისთვის, ყველა დაინტერესებული მხარისთვის ღია საჯარო შეხვედრები, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა: სამინისტრომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის მიზნით საჯარო შეხვედრა ჩაატარა 25 და 30 დღის შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განაცხადის წარდგენის თარიღიდან. ორი შეხვედრა შედგა დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. ამ ეტაპის განმავლობაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაუკავშირდა სამინისტროს, რათა დადგენილიყო სათანადო ადგილები შეხვედრისთვის და, თუ საჭირო გახდებოდა, მას მზად ჰქონდა სატრანსპორტო საშუალებები დაინტერესებული მხარეების გადასაცემად შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ჩათვლით. სამინისტრომ შეხვედრის შესახებ განცხადება გააკეთა 10 დღით ადრე. განცხადება გამოქვეყნდა ადგილობრივ და სახელმწიფო გაზეთებში, ბიულეტენები გავრცელდა სოფლებში და ინფორმაცია აიტვირთა ეკონომიკის სამინისტროს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდებზე. შეხვედრებს თავმჯდომარეობა გაუწიეს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

განხილვა ფოკუს-ჯგუფებში (FGD): თემის წევრები, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან, როგორც შესაბამისი ჯგუფების (ადგილობრივი ხელისუფლება, ბიზნესის ადგილობრივი წარმომადგენლები ან არასამთავრობო ორგანიზაციები) წარმომადგენელი. ამგვარ შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მცირე მასშტაბის შეხვედრების ორგანიზებას კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც პროექტის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ და რომლებმაც წინა აქტივობების ფარგლებში გამოავლინეს აქტიური მონაწილეობა და წარმომადგენლობითი შესაძლებლობები. აღნიშნული აქტივობა საშუალებას იძლევა კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირებული განხილვისა და დაინტერესებულ მხარეთა შორის შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. განცხადებას შეხვედრის შესახებ გააკეთებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდება შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებს. საჭიროების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ტრანსპორტირება შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

შეხვედრას თავმჯდომარეობას გაუწევენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის

ხელმძღვანელობა. შეხვედრას ასევე დაესწრებიან კონტრაქტორები. შეხვედრისას ზეპირად მიწოდებული ინფორმაცია წერილობით უნდა გავრცელდეს საინფორმაციო ფურცლების ან ბროშურების სახით. დაინტერესებული მხარეების დასწრება აღირიცხება სპეციალურ ფორმაში შეხვედრის მსვლელობისას. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩაიწერს ინფორმაციას სპეციალურ ფორმაში და შეაგროვებს შეხვედრასთან დაკავშირებულ მასალებს ერთ დოკუმენტად.

- 2) **ინდივიდუალური ინტერვიუები:** ჩართულობის ამგვარი მეთოდი იძლევა უფრო სიღრმისეული დიალოგის წარმართვის საშუალებას დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების გზით შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და მოსაზრებების გაგება, აგრეთვე კონკრეტული საკითხებისა და პრობლემების მიზანმიმართული განხილვა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით ეფექტანია მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა მათთვის რთული იყოს მონაწილეობა ისეთი მასშტაბური ჩართულობის ფორმებში, როგორცაა საჯარო შეხვედრები.

- 3) **ინტერვიუები ინფორმაციის პირველწყაროსთან/ მცირე ჯგუფებთან ინტერვიუები:** ჩართულობის აღნიშნული მეთოდის მიზანია პროექტისთვის არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და უკუკავშირის შეგროვება დაინტერესებული მხარეებისგან (როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფების ფორმატში), რომელთაც გააჩნიათ სპეციალიზებული ცოდნა კონკრეტულ საკითხებზე (მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმი და სხვა). აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ეტაპზე, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა როგორც საბაზისო ინფორმაციის შეგროვებას, ისე პოტენციური შემარბილებელი ღონისძიებების განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ ყველა შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა შეხვედრებში მონაწილეობა მიიღონ დისტანციურად (ვირტუალურად), რათა უზრუნველყოფილ იქნას მონაწილეთა მაქსიმალურად ფართო ჩართულობა (მათ შორის იმ პირებისთვის, ვისაც ადგილზე მისვლა არ შეუძლია). დამატებით, გათვალისწინებული იქნება EBRD-ის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები, მათ შორის COVID-19-თან დაკავშირებული რეკომენდაციები.⁶

- 4) **პერიოდული არაფორმალური შეხვედრები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან:** მოსალოდნელია, რომ განსაკუთრებით მშენებლობის ეტაპის განმავლობაში, საავტომობილო

⁶ <https://www.ebrd.com/sustainability-covid.html>

გზების დეპარტამენტი რეგულარულად განახორციელებს ველზე ვიზიტებს, მიმდინარე სამუშაოების შეფასების, შესაძლო საჩივრების შემოწმებისა და კონტრაქტორებთან კოორდინაციის მიზნით. ველზე გასვლები უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან არაფორმალური შეხვედრებისა და ინტერვიუების შესაძლებლობას, აგრეთვე პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მათი უკუკავშირის მიღებას. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია როგორც ეფექტიანი კომუნიკაციის შენარჩუნებისთვის, ისე დაინტერესებული მხარეების საჭიროებებსა და პრობლემებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფისთვის. ასეთი არაფორმალური შეხვედრების ფარგლებში დეპარტამენტს შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, ასევე შეუძლია მოთხოვნებისა თუ პრობლემური საკითხების შეგროვება და პასუხების მიწოდება მარტივ საკითხებზე. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე დააყენებს ოფიციალურ საჩივარს, დეპარტამენტი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია საჩივრების განხილვის ოფიციალური მექანიზმის შესახებ. ხოლო თუ საკითხი კომპლექსურ ხასიათს ატარებს და საჭიროებს ხელმძღვანელობის ან კონტრაქტორების ჩართულობას, დეპარტამენტი უზრუნველყოფს შუალედური პასუხის მიწოდებას და შემდგომ კომუნიკაციას საკითხის სრულად დამუშავების შემდეგ.

თუ მსგავსი შეხვედრებისას გამოიკვეთება, რომ კონკრეტული საკითხები ან პრობლემები სისტემატურად მეორდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მხრიდან, დეპარტამენტმა და მისმა ხელმძღვანელობამ უნდა განიხილონ ერთიანი საჯარო შეხვედრის ორგანიზების შესაძლებლობა, ან შესაბამისი ინფორმაციის წერილობითი ფორმით გავრცელება, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდოს ერთიანი და თანმიმდევრული ინფორმაცია.

- 5) **ღია კარის ფორმატის საველე ვიზიტი:** ეს აქტივობა გულისხმობს საზოგადოების მოწვევას, რათა მათ უშუალოდ გაეცნონ სამშენებლო სამუშაოებს. მოცემული პროექტის შემთხვევაში, გვირაბის მშენებლობის პროცესის დათვალიერება შეიძლება ჩაითვალოს საინტერესო შესაძლებლობად, რაც დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს უკეთ გაიგონ გამოყენებული ტექნოლოგიები და განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებები.

ღია კარის დღე, ჩვეულებრივ, იწყება გაცნობითი შეხვედრიდან, რასაც მოჰყვება შერჩეული სამშენებლო ტერიტორიების დათვალიერება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლების თანხლებით და საბოლოო კითხვა-პასუხის ღონისძიება. აქტივობა ყურადღებით უნდა დაიგეგმოს მონაწილეთა სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და, აქედან გამომდინარე, მისი ორგანიზება უნდა მოხდეს სათანადო რესურსების გამოყენებით.

ამ აქტივობის სარგებელი მოიცავს იმას, რომ საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა ადგილზე გაეცნოს სამუშაოებს, რაც შეამცირებს უსაფუძვლო შიშს მათი მხრიდან და გააუმჯობესებს პროექტთან და მის ბუნებასთან დაკავშირებულ მათ ცოდნას. გარდა ამისა, ღია კარის დღე აუმჯობესებს პროექტის განმახორციელებლის რეპუტაციას, რომლებიც გამჭვირვალედ და პროაქტიულად ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ჩართული უნდა იქნას დაინტერესებული მხარეების ისეთი სპეციფიური ჯგუფები, როგორცაა სკოლები, უნივერსიტეტის სტუდენტები ან პროფესიონალთა ასოციაციები (მაგალითად, ინჟინრების თუ გეოდეზისტების), რომლებიც განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი სამშენებლო

ობიექტის მონახულებით.

ღია კარის დღის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება ღონისძიებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე, წერილობითი მოწვევების გაგზავნით იმ ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებში და დაფიქსირებული არიან რეესტრში. შეხვედრის დეტალები განთავსდება სგდ-ს ვებგვერდზე, ხოლო საინფორმაციო ბროშურები და პლაკატები გადაეცემა თემის წარმომადგენლებს და განთავსდება შესაბამის ადგილებში, როგორცაა საზოგადოებრივი ცენტრები.

ასევე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი უშუალოდ დაუკავშირდება თემის წარმომადგენლებს მათი ინფორმირების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ორგანიზებას გაუწევს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ტრანსპორტირებას შეხვედრის ადგილამდე. უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაინტერესებულმა პირებმა წინასწარ უნდა დაადასტურონ მონაწილეობა და ღონისძიებაზე დაიშვებიან მხოლოდ რეგისტრირებული პირები. ღონისძიებას წარუძღვება დეპარტამენტი ტექნიკური ექსპერტების მხარდაჭერით, რომლებიც დეტალურად ახსნიან პროექტის სხვადასხვა ასპექტებს. დაინტერესებული მხარეების დასწრება აღირიცხება სპეციალურ ფორმაში შეხვედრის მსვლელობისას. შეხვედრის დასრულების შემდეგ, საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს ინფორმაციის დაფიქსირებას სპეციალური ჩანაწერების ფორმაში და შეაგროვებს შეხვედრასთან დაკავშირებულ მასალებს ერთ დოკუმენტად.

6) **საინფორმაციო ბიულეტენები და ვებგვერდზე პოსტების გამოქვეყნება:** აღნიშნული მიდგომა ნაკლებ დროს მოითხოვს საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან და იძლევა მრავალ დაინტერესებულ პირთან დაკავშირების საშუალებას. საინფორმაციო ბიულეტენი გაეგზავნება ყველა იმ დაინტერესებულ მხარეს, რომელიც შეტანილია შესაბამის რეესტრში და აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, ნაბეჭდი მასალები განთავსდება თვალსაჩინო საინფორმაციო დაფაზე ისეთ ადგილებში, როგორცაა საზოგადოებრივი ცენტრი, და გაეგზავნება კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებს, მათი შემდგომი გავრცელების მიზნით. ახალი ამბების ბიულეტენში მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია აქტივობების მიმდინარეობის, მშენებლობის გრაფიკში შესაძლო ცვლილებების, მონიტორინგის შედეგების და სხვა ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც საინტერესოა დაინტერესებულ მხარეთათვის. ახალი ამბების ბიულეტენში ყოველთვის უნდა დაეთმოს ადგილი საჩივრების განხილვის მექანიზმს იმისათვის, რომ დაინტერესებული მხარეები ერკვეოდნენ პროცედურაში, რომელიც უკავშირდება საჩივრის შეტანას.

7) **წერილები და სატელეფონო ზარები:** საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საჭიროების შემთხვევაში, წერილობით მიმართავს ან დაურეკავს დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს და აცნობებს მათ პროექტის აქტივობების მიმდინარეობას და განიხილავს შესაძლო კრიტიკულ საკითხებს. ეს ინსტრუმენტი მარტივად განხორციელებადია და ხელს უწყობს კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას, რაც მნიშვნელოვანია პოტენციური პრობლემების წინასწარ იდენტიფიცირებისა და ერთობლივი გადაწყვეტისთვის.

- 8) **გარე ანგარიში:** შესრულებული აქტოვობებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმის განხორციელების შედეგები და დაინტერესებულ მხარეთა მიერ წამოჭრილი მთავარი საკითხები, აისახება ანგარიშში, რომელიც პერიოდულად გავრცელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის, 5.2.2 ნაწილის შესაბამისად.

**დანართი D - სამოქალაქო საზოგადოების
ორგანიზაციის ჩართულობის გეგმა**

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გეგმა

სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფი	მათი მონაწილეობის მიზანი	მიდგომა მონაწილეობისად მი და მისი სიღრმე	მონაწილეობის მეთოდები		განხორციელების პერიოდი
	თუ რატომ არიან ჩართულები		მეთოდი	ვინ არის პასუხისმგებელი?	
<p>სამოქალაქო საზოგადოება საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (INGOs) გარემოს დაცვის, კონსერვაციის, სოფლის განვითარების საკითხებში გამოცდილებით</p>	<p>გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება პროექტის სამიზნე თემების ჩართვისთვის, გააძლიერონ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები კონკრეტული აქტივობების განსახორციელებლად, რათა ხელი შეუწყონ პროექტის ეფექტურ განხორციელებას.</p> <p>მათ აქვთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამების შემუშავებისა და მიწოდების გამოცდილება და სხვებს აქვთ ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის გამოცდილება თემზე დაფუძნებული რესურსების მართვის ინტეგრირებული დაგეგმვის გზით.</p>	<p>თანამშრომლობა (მაღალი)</p>	<p>კონსულტაციები, ინტერვიუები, საჯარო შეხვედრები პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან (ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით) საპასუხო მოსაზრებების მიღების და პროექტის ხელშეწყობად პროექტის მომზადებისას და მისი განხორციელების დროს, სულ მცირე, ექვს თვეში ერთხელ.</p> <p>პროექტის ზემოქმედების, შედეგების და ინკლუზიური ზრდის საკითხის მნიშვნელობის გაგება.</p> <p>ინფორმაციის რეგულარული მიწოდება პროექტის აქტივობებისა და მისი შესაბამისი განვითარების შესახებ.</p>	<p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი(ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი(EBRD);</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი(ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი(EBRD);</p> <p>წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების</p>	<p>პროექტირებისა და პროექტის განხორციელების განმავლობაში.</p>

				<p>ორგანიზაცია ან განვითარების პარტნიორი, რომელიც ჩართულია კონკრეტული ქვეექტივობის შექმნისა და მიწოდებისთვის, რომელიც მუშაობს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან .</p> <p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ან განვითარების პარტნიორის მიერ.</p>	
--	--	--	--	---	--

<p>სამოქალაქო საზოგადოება ბენეფიციარი თემები და სოფლები (ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ჩათვლით) მოწყვლადი ჯგუფები, სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები, საეკლესიო ჯგუფები, ქალთა ჯგუფები, ახალგაზრდული ჯგუფები</p>	<p>თემის საჭიროებების/არჩევანის იდენტიფიცირება და პროექტისთვის და ეკოტურიზმის განვითარების კომპონენტის მხარდაჭერა ბენეფიციართა შორის.</p> <p>საეკლესიო ჯგუფებს, ახალგაზრდულ ჯგუფებს და მათ ლიდერებს აქვთ ძლიერი კავშირები და გავლენა თემებში და შეუძლიათ დაეხმარონ პროექტების ცნობიერების ამაღლებას, დაეხმარონ საზოგადოებას არჩევანის გაკეთებასა და საკითხების იდენტიფიცირებაში.</p>	<p>ინფორმაციის გენერირება/ინფორმაციის გაზიარება (მაღალი) კონსულტაცია (საშუალო)</p>	<p>ინფორმაცია: სათემო შეხვედრების ჩატარება და საინფორმაციო ბროშურების გავრცელება პროექტის მოცულობის, პროექტის ელემენტების, მონაწილეობის მექანიზმების და გზის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების მიერ ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ.</p> <p>ინფორმაციის გაზიარება: საჯარო შეხვედრების ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება პროექტის მიზნის, მოცულობის, სარგებლის და გზის მშენებლობის განრიგის შესახებ.</p> <p>ადგილობრივი თემების საჭიროებების და წვლილის განსაზღვრა პროექტის შემუშავებაში: პროექტის სარგებლის, მშენებლობის ზემოქმედების, გენდერული ინფორმირებულობის განმარტება და ა.შ..</p> <p>მონაწილეობითი მეთოდები (ფოკუს ჯგუფები, სათემო კონსულტაციები) გამოიყენება საეკლესიო, ქალთა და ახალგაზრდულ ჯგუფებთან პროექტის შემუშავების ეტაპზე და მის ადრეულ განხორციელებაში, გზის პროექტზე უკუკავშირის მისაღებად და გზის პროექტის გადასაცემად.</p> <p>მრევლის, ქალებისა და ახალგაზრდული ჯგუფების და თემის ჩართულობისთვის არსებული მექანიზმების გამოყენება, მუშაობა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პროექტის გადაცემასთან დაკავშირებით (ქალთა/ახალგაზრდული ჯგუფების შეხვედრები, საეკლესიო მსახურებები).</p> <p>გავლენიანი ლიდერების მიერ პროპაგანდის გაწევა პროექტის გაუმჯობესებელი შედეგებისთვის.</p>	<p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD);</p> <p>წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ან განვითარების პარტნიორი და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჩართულნი/წარმოადგენენ პარტნიორებს პროექტის სპეციფიური ინფორმირებულობის ამაღლების კომპონენტის ჩამოყალიბების/მიწოდების მიზნით.</p>	<p>პროექტებისა და პროექტის განხორციელების პერიოდში</p>
--	--	--	---	---	--

			<p>ინფორმაციის გავრცელება პროექტის ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის განმახორციელებელი უწყების მიერ.</p> <p>პროექტის განხორციელება: გენდერული ცნობიერების შესაძლებლობების განვითარება, შრომითი შესაძლებლობები და ა.შ.</p>		
--	--	--	---	--	--

			<p>შეხვედრების ჩატარება მათთან, რათა მოხდეს ეკოტურიზმის განვითარებისა და ტრანსპარანსაზღვრო ტურიზმის თანამშრომლობის უპირატესობების ხილვადობის გაზრდა ინკლუზიური ზრდისთვის, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი სექტორისთვის.</p> <p>მონაწილეობითი შეფასება: ინფორმაციის მიღება პროექტის კომპონენტების, სარგებელის, ზემოქმედების შესახებ; ინფორმაციის მიწოდება კონსულტაციებისას ქვეპროექტის ვარიანტების განსახილველად, რათა გაზარდოს პროექტის სარგებელი ახლომდებარე ტერიტორიებისთვის.</p> <p>მშენებლობა: ინფორმაციის მიწოდება სოფლებისთვის და პრიორიტეტის მინიჭება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული დაბალი შემოსავლის მქონე თემების კვალიფიცირებული მუშახელისთვის.</p>		
--	--	--	--	--	--

<p>სამოქალაქო საზოგადოება ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (ადვოკატირების არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით), რომლებსაც აქვთ გამოცდილება ეკონომიკური პოლიტიკისა და მეწარმეობის განვითარებაში, სოციალური ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტებსა და მიდგომებში.</p>	<p>თემის საჭიროებების/არჩევანის იდენტიფიცირება და პროექტისთვის და ეკოტურიზმის განვითარების კომპონენტის მხარდაჭერა ბენეფიციართა შორის.</p> <p>გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა.</p> <p>სამოქალაქო საზოგადოებას, რომელსაც აქვს სოციალური ანგარიშვალდებულების მექანიზმების გამოცდილება, შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოების სასარგებლო უკუკავშირი და მონიტორინგი პროექტის განხორციელების დროს.</p>	<p>თანამშრომლობა (საშუალო)</p>	<p>ხელშეკრულების დადება შესაბამისი გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რათა ჩაატარონ კვლევა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადგილობრივი თემებისთვის შესაძლო ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ.</p> <p>სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება კონტრაქტორის პერსონალისთვის ტრენინგების ჩასატარებლად: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უტარებენ სამუშაოს უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების შესახებ ტრენინგს კონტრაქტორის პერსონალს, როგორც ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.</p> <p>ხელშეკრულების გაფორმება ადგილობრივი თემებისთვის და მცირე მეწარმეებისთვის ეკო-ბიზნესის ან საარსებო წყაროსთვის ტრენინგების ჩასატარებლად. აღნიშნული მოიცავს ტრენინგებს ქალებისთვის ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ მათი ცოდნის ასამაღლებლად.</p> <p>სოციალური ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტები და მიდგომები, რომლებიც გამოიყენება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად პროექტის აქტივობების მონიტორინგისა და უკუკავშირის მიწოდებისთვის.</p> <p>ინფორმაციის გავრცელება ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის განმახორციელებელი უწყება მიერ.</p>	<p>აზიის განვითარების ბანკი (ADB), არასამთავრობო ორგანიზაციის კონსულტანტი</p> <p>წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ან განვითარების პარტნიორი</p>	<p>პროექტებისა და პროექტის განხორციელების პერიოდში</p>
--	---	--------------------------------	--	---	--

			რეგულარულად განახლებადი ინფორმაცია პროექტის აქტივობებისა და შესაბამისი განვითარების შესახებ.		
სამოქალაქო საზოგადოება თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები	ადგილობრივი ცოდნის გამოყენება და პროექტის სამიზნე თემების ეფექტური ჩართულობა. გაზარდოს ეკო-ტურიზმის განვითარებისა და ტრანსსასაზღვრო ტურიზმის თანამშრომლობის სარგებელის ხილვადობა ინკლუზიური ზრდისთვის, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი სექტორისთვის.	ინფორმაციის გენერირება/გაზიარება (მაღალი) თანამშრომლობა საერთაშორისო ან ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან	კონსულტაციები, ინტერვიუები, საჯარო შეხვედრები პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან (მათ შორის ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან) უკუკავშირის მისაღებად და პროექტისთვის მხარდაჭერის გამოსაცხადებლად, პროექტის შემუშავებისა და განხორციელების დროს, სულ მცირე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ. სოციალური ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტები და მიდგომები , რომლებიც გამოიყენება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად პროექტის აქტივობების მონიტორინგისა და უკუკავშირის მიწოდებისთვის. პროექტის განხორციელება : უშუალო კონსულტაციები და მონაწილეობა პროექტის განხორციელებაში ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით და მუნიციპალურ მმართველ კომიტეტში წარმომადგენლობით. შეხვედრების ჩატარება მათთან, რათა გაიზარდოს ეკო-ტურიზმის განვითარებისა და ტრანსსასაზღვრო ტურიზმის თანამშრომლობის უპირატესობების ხილვადობა ინკლუზიური ზრდისთვის, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი სექტორისთვის. მონიტორინგი : წარმომადგენლობა მუნიციპალური დონის შეხვედრებსა და რაიონულ კომიტეტებში, რომლებიც ეხება განსახლების/პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულთა საკითხებს.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი(ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი(EBRD)	პროექტირებისა და პროექტის განხორციელების პერიოდში

<p>სამოქალაქო საზოგადოება პროფესიონალთა ასოციაციები და აკადემია</p>		<p>ინფორმაციის გენერირება/ გაზიარება (მაღალი) თანამშრომლობა (საშუალო)</p>	<p>პროექტის განხორციელება: უშუალო კონსულტაციები და მონაწილეობა პროექტის განხორციელებაში. ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება ელ.ფოსტის საშუალებით პროექტის აქტივობებისა და მისი შესაბამისი განვითარების შესახებ.</p>	<p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურ ის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო</p>	<p>პროექტირებისა და პროექტის განხორციელების პერიოდში</p>
--	--	--	---	--	--

დანართი E - დაინტერესებულ მხარეთა
ჩართულობასთან დაკავშირებული აქტივობების
რეესტრის ნიმუში

პირადი ნომერი	ტიპოლოგია	თარიღი	ადგილმდებარეობა	შეხვედრის დასახელება
1	საჯარო შეხვედრა			
2				
3				
4				

პირადი ნომერი:	
ჩართულობის აქტივობა:	
ადგილმდებარეობა და თარიღი:	
აქტივობის ან ღონისძიების აღწერა	
პროექტის ეტაპი:	
ტიპოლოგია:	
განცხადებები და კომუნიკაცია:	
შეხვედრის ოქმი:	
დამსწრე დაინტერესებული მხარეები	
დამსწრე პირები საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან	
აქტივობის დეტალები	

დღის წესრიგი:	
გამოყენებული საპრეზენტაციო მასალა:	
განსახილველი საკითხები:	
შედეგები:	
მისაღები ზომები:	
მიღებული გაკვეთილები	
სხვა შენიშვნები	



golder.com